# ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge
facebook.com/
Akhali Ganatleba

№12 (926) გამოდის 1998 წლიდან

15-21.04.2021


„გვირგვინობა“ ანუ ეგრეთ წოდებული „კორონობა“ „მკვირად დაუჯდა“ საქართველოს, ქართველ ხალხსა და ქართულ ენას. უცხო სიტყვები დაამკვიდრა. მივიღეთ, შევისისხლხორცეთ და დავამკვიდრეთ – კლასტერი, ლოქდაუნი, თერმოსკრინინგი, ლოკაცია, საწოლფონდი, კარანტინი, მობილობა, ლეტალური, ვიტალური, ქეისი, ანტივაქსერები, ვაქსერები...

ალბათ, ხშირად გსმენიათ კორონავირუსისაგან დაზაფრულ ხალხში (საფუძვლიანადაც!) გავრცელებული ფრაზა – „კორონა იქ ურტყამს ორგანიზმს, სადაც რაიმე პრობლემაა, სუსტ ადგილს ეძებს“ და ა.შ. დიახ, დიახ, ზუსტად ასე იქცევა კორონა და არა მხოლოდ ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას. ჩვენს ენასაც ბევრი სუსტი ადგილი აღმოაჩნდა და ისე უმტკივნეულოდ, უპრობლემოდ მიიღო და გაითავისა „კორონული“ ლექსიკა, იფიქრებდა კაცი, ასე სიხარულით ლექსიკის გამდიდრებას თუ შეხვდებოდა ენაო...

ენაში სიახლის შემოტანა გამართლებულია – საზოგადოება დროსა და სივრცეში იცვლება და სამეტყველო ენაც მასთან ერთად უნდა შეიცვალოს, მაგრამ განვითარება არ ამართლებს არსებულის უარყოფას – როდესაც ენაში არსებული სიტყვის მაგივრად უცხოურიდან შემოსული ანალოგი მკვიდრდება, გაუმართლებელია. წალეკა ენა ბარბარიზმებმა.

ქართველების უსაყვარლესმა მწერალმა, ოტია იოსელიანმა თქვა ერთხელ – ამ ენაზე შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა და თქვენ საბჟუტუროდ არ გეოფნითო?! ჰოდა, თუ მაინცდამაინც „ბჟუტური“ გინდათ, ქართულად „ვიბჟუტუროთ“!


➲ ლია გოგოხია

➲ ლეილა ხონელიძე




განათლების მიღმა

# მთავარია, უწყებამ პრობლემა აღიარა

## ⇨ ინტერვიუ მაია ყუფარაძესთან

*მარტის თვეში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცნობილი გახდა, რომ საქართველოში 6-დან 16 წლამდე 10 404 მოზარდს (შესაბამისი ასაკის მოსახლეობის 1,7%) საგანმანათლებლო ისტორია არ აქვს და არ არიან განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მოსწავლეთა ბაზაში. საქართველოს მთავრობამ „სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა“ 2020 წლის 10 სექტემბერს დაამტკიცა. აქამდე კი, სამწუხაროდ, ქვეყანაში არც განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების სტატისტიკა და არც გეგმა არსებობდა, საგანმანათლებლო გარემოში მათ დასაბრუნებლად. როგორც გითხარით, აღნიშნული პროგრამით, სახელმწიფომ დაიწყო, ერთი მხრივ, ქვეყანაში მცხოვრები ბავშვების კონსტიტუციით გარანტირებული განათლების უფლების დაცვა, ხოლო მეორე მხრივ, მათი განათლების სისტემაში ინტეგრირების ხელშეწყობა. თუმცა, პროგრამის დანერგვამდე, რჩება პრობლემები, რომელთა გადაჭრის გარეშეც პროგრამა სრულყოფილად ვერ განხორციელდება. ცნობილია, რომ 10 ათასზე მეტი მოზარდიდან 5 ათასის იდენტიფიცირებას სამინისტრო დღემდე ვერ ახერხებს. ვინ არიან ეს მოზარდები და ასახავს თუ არა რეალობას სამინისტროს მიერ გასაჯაროებული მონაცემები; რა მექანიზმებით იგეგმება მათი წარმატებული ინტეგრაცია საგანმანათლებლო გარემოში; – რა სერვისებს სთავაზობენ წერა-კითხვის ცოდნის გარეშე დარჩენილებს – ამ თემებზე გვესაუბრება გაეროს ბავშვთა ფონდის განათლების პროგრამის ხელმძღვანელი მაია ყუფარაძე.*




**– ქალბატონო მაია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ცოტა ხნის წინ, გაასაჯაროვა სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების სტატისტიკა, რომლის მიხედვით, 6-დან 16 წლამდე 10 404 მოზარდს არ აქვს საგანმანათლებლო ისტორია. რა შეგიძლიათ გვითხრათ, რამდენად ასახავს ეს მონაცემები რეალობას?**

– მონაცემები, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოქვეყნდა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არ აზუსტებს, არის თუ არა ეს ის კონტინგენტი, რომელიც საერთოდ არ ყოფილა დარეგისტრირებული სასწავლო დაწესებულებებში. შესაძლებელია, ისინი დარეგისტრირებულები იყვნენ და შემდეგ, სხვადასხვა მიზეზის გამო, დაანებეს სწავლას თავი, ან მათ შორის იყვნენ ბავშვები, რომელთა დაბადებაც რეგისტრირებულია, თუმცა, სკოლებში არ დარეგისტრირებულან. ასე რომ, ინფორმაციის დასაზუსტებლად, ვაგრძელებთ სამინისტროსთან მუშაობას.

როდესაც რაოდენობაზე ვსაუბრობთ, რასაკვირველია, ვაპელირებთ იმ მონაცემებზე, რასაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქვეყნებს. მივესალმებით, რომ უწყებამ პრობლემა აღიარა და, რაც მთავარია, ძალიან დიდია საკითხის გადაჭრის მოტივაციაც და პოლიტიკური ნებაც. 2015 წლიდან ვმუშაობთ სამინისტროს საინფორმაციო მართვის ცენტრთან, რომ სისტემაში შევიტანოთ ისეთი ინდიკატორები, რომელიც სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების შესახებ სრული ინფორმაციის მოძიების საშუალებას მოგვცემს. ჩვენი თანამშრომლობა, ამ კონკრეტულ კომპონენტთან დაკავშირებით, წარმატებული აღმოჩნდა – დღეს უკვე არსებობს ამ ბავშვების შესახებ ინფორმაციის შეგროვების ინსტიტუციური კომპეტენცია და შემდეგ, ამ მონაცემების ჩაშლა – ვინ არიან და სად არიან ეს ბავშვები.

როგორც ცნობილია, მიუხედავად იმისა, რომ 10 ათასზე მეტი ბავშვიდან, 5 ათასი ბავშვი არაიდენტიფიცირებულია, სამინისტრო დაზუსტებით ამბობს, რომ 1600-მდე ბავშვი სოციალურად დაუცველი ოჯახებიდანაა; 600-დან 700-მდე ბავშვს სხვადასხვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები აქვს. ეს მონაცემები, ასევე, მიანიშნებს მიგრანტი ბავშვების რაოდენობაზეც და ა.შ. მეორე საკითხი, რომელიც ბმაშია ინფორმაციასთან, იმის გარკვევაა, თუ როგორ უზრუნველყოფს სახელმწიფო, შესაბამისი სამსახურები ამ ბავშვების დაბრუნებას სკოლებში.

**– რა მექანიზმები მუშაობს სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების განათლების სისტემაში ინტეგრირებისთვის?**

– კარგა ხნის წინ დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა და ბევრი რამ გაკეთდა. მაგალითად, ქვეყანაში ჯანდაცვის და განათლების სამინისტროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი თანამშრომლობით, შეიქმნა ექვსი დღის ცენტრი, რომელსაც ტრანზიტულ ცენტრებს ეძახიან. ამ ცენტრების ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული როგორც საზოგადოების რეაქციაზე, ასევე სოციალური მუშაკების ოპერატიულობაზე, რადგან სწორედ მათ უნდა აღრიცხონ უკლებლივ ყველა შემთხვევა, როცა ბავშვი არ დადის სკოლაში და გაცდენები რეგულარულია. ვგულისხმობ, მაგალითად, ბავშვებს, რომლებიც ქუჩაში საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობენ ან ჩართულები არიან გარკვეული სახის შრომით საქმიანობაში და არ დადიან სკოლაში. ამ კატეგორიის ბავშვების იდენტიფიცირება სასწრაფოდ უნდა მოხდეს (ხშირ შემთხვევაში ხდება კიდეც). ეს ხორციელდება საზოგადოების სხვადასხვა პროფესიული ჯგუფების მიერ – მსგავს ინფორმაციას აწოდებენ სოციალურ სააგენტოებს, სოციალურ მუშაკებს, რომელთა ვალდებულებაა მათზე სათანადო რეაგირება, ყველა ინდივიდუალური შემთხვევის შესწავლა და საჭიროებისამებრ, ტრანზიტულ ცენტრებში გადამისამართება, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ფუნქციონირებს.

**– რა არის ტრანზიტული დღის ცენტრის მთავარი ფუნქცია?**

– ტრანზიტული დღის ცენტრის მთავარი ფუნქციაა, საჭიროების მიხედვით, ბავშვის რეაბილიტაცია. ეს გულისხმობს როგორც ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას, ისე ჯანმრთელობის მდგომარეობისა და საგანმანათლებლო საჭიროებების დადგენას. საჭიროებების დადგენის შემდეგ, ბავშვებისთვის ცენტრებში სხვადასხვა მრავალფუნქციური სერვისის მიწოდება ხორციელდება. ერთ-ერთი ასეთი სერვისი და ვალდებულება გახლავთ, ბავშვებთან, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მოთელვითი საგანმანათლებლო მუშაობა, შემდეგ მათი გადამისამართება და ინკლუზია, რაც აუცილებლად საჯარო სკოლაში უნდა მოხდეს. ეს პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ დღის ცენტრები არასრული დატვირთვით მუშაობენ, შესაბამისად, სკოლებში ბავშვთა ინკლუზია, შეიძლება ითქვას, რომ არასრული დატვირთვით მიმდინარეობს, არც სოციალური სააგენტოები ახდენენ სრულფასოვან რეაგირებას და არც ცხელი ხაზი მუშაობს სათანადო დატვირთვით – მუდმივად დაკავებულია ან დაზიანებული.

ამის გარდა, ჩვენ, მოქალაქეებსაც გვაქვს გარკვეული ვალდებულებები. როგორ უნდა მოიქცეს ნებისმიერი მოქალაქე, თუ ქუჩაში, ორი-სამი დღის განმავლობაში, ერთი და იმავე ბავშვს ხედავს? იგი ვალდებულია, მყისიერად იმოქმედოს – პატრულთან ერთად ან მის გარეშე, დაუკავშირდეს სოციალურ მუშაკს/სოციალურ სააგენტოს, ცხელი ხაზის საშუალებით. ამ ვალდებულების შესახებ საზოგადოების თოთოეულმა წევრმა უნდა იცოდეს. ან კიდევ, თუკი ბავშვი მისთვის შეუფერებელ საქმიანობაშია ჩართული და ეს იცის რიგითმა მოქალაქემ ან პატრულმა, ორივე ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება – დაუკავშირდეს სოციალურ მუშაკს, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია მაშინვე დაიწყოს მოკვლევა – მოიძიოს ბავშვის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, გამოიკვლიოს როგორია მისი მდგომარეობა ოჯახში, განსაზღვროს განათლებაში მისი მონაწილეობის სტატუსი და კიდევ ბევრი სხვა.

**– რა ხდება სკოლებში, როგორია მათი დამოკიდებულება და მიმღებლობა ასეთი ბავშვების მიმართ?**

– რაც შეეხება სკოლებს, ბავშვების ჩართულობა ასე თუ ისე ხერხდება, თუმცა, აკადემიური ჩამორჩენის მქონე მოზარდები არც თუ ისე სასურველი კონტინგენტია სკოლებისთვის, მასწავლებლებისთვის. შევეცდები ავხსნა პრობლემები, რომელიც აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობას ახლავს თან.

როდესაც 11-14 წლის მოზარდი მისი ასაკის შესაფერის კლასში აღმოჩნდება, მას დიდი აკადემიური ჩამორჩენა აქვს (როგორც წესი, ძალიან დიდი განსხვავებაა მოსწავლეებსა და კლასში ჩართული ბავშვების აკადემიურ მოსწრებას შორის) და მასწავლებელს უჭირს მისი დაწევა სასწავლო პროგრამასთან, შესაბამისად, მასთან მუშაობის მოტივაციაც ეკარგება. ამიტომ, ვიღებთ შემთხვევას, როცა, ერთი მხრივ, ბავშვს სასწავლო პროცესში ჩასართავად ვაბრუნებთ სკოლაში, მაგრამ, მეორე მხრივ, ვერ ვახდენთ მის ინტეგრირებას კლასთან. აქედან გამომდინარე, ის ვერ ხდება სასწავლო პროცესის სრულფასოვანი მონაწილე.

სწორედ ამ პრობლემიდან გამომდინარე, აქტიურად ვმუშაობთ მასწავლებლებისთვის ტრენინგ პაკეტის შექმნაზე, რაც ასევე გულისხმობს არსებული სასწავლო გეგმის, ანუ ეროვნული სასკოლო კურიკულუმის ადაპტირებას. ამით მასწავლებელს შესაძლებლობა მიეცემა, ბავშვი, რომელსაც აკადემიური ჩამორჩენა აქვს, შემჭიდროებულ ვადებში, დააწიოს სასწავლო პროგრამას. სწორედ ასეთი სპეციალური (შეკუმშული) სასწავლო გეგმა შეიმუშავა გაეროს ბავშვთა ფონდმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, ბულგარეთის მთავრობის მხარდაჭერით. ამ პროცესში მჭიდროდ ვითანამშრომლეთ როგორც უცხოელ, ისე ადგილობრივ დარგის სპეციალისტებთან. წელს, სამინისტროსთან კოორდინაციით, დავიწყებთ ამ შემუშავებული მასალების პილოტირებას შერჩეულ სკოლებში. დიდი იმედი გვაქვს, პილოტირების პერიოდში, მასწავლებლების საფუძვლიანი ტრენინგებიც განხორციელდება აღნიშნულ პროგრამებში მათი გადამზადებისთვის. ტრენინგის კურსის გავლის შემდეგ, ქოუჩინგის მეთოდსაც ავამუშავებთ – რაც იმას ნიშნავს, რომ სპეციალისტები შევლენ საკლასო ოთახებში და მასწავლებლებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვაში დაეხმარებიან.

რაც შეეხება სკოლების დამოკიდებულებას და მიმღებლობას – კანონი ავალდებულებს ასეთი ბავშვის სკოლაში მიღებას. საქართველოში, ბავშვზე ორიენტირებული და ინკლუზიურ განათლებაზე მორგებული, ძალიან კარგი საკანონმდებლო ბაზა არსებობს, თუმცა, როგორც გითხარით, მასწავლებლების მოტივაცია ძალიან დაბალია. პირველ რიგში, იმიტომ, რომ არ იციან მათთან მუშაობის მეთოდები, და მეორე – არ არიან დაინტერესებული, ეს ხომ მათი მხრიდან დამატებით დროს მოითხოვს. გამოდის, რომ მასწავლებლებს, გარდა მეთოდების ცოდნის დეფიციტისა, წახალისება სჭირდებათ – ეს შეიძლება იყოს როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური, იმ დამატებითი დროის საზღაურად/სანაცვლოდ, რომელსაც აკადემიურად მკვეთრი ჩამორჩენის მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას ხარჯავენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რეალურად ორი მნიშვნელოვანი საკითხი დგას – მასწავლებელთა კომპეტენციის გაძლიერება და წახალისების მექანიზმების შექმნა. ასევე, როდესაც საუბარია ბავშვზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს შექმნაზე, ეს ნიშნავს, რომ უნდა დაიგეგმოს და განისაზღვროს ის დამატებითი ექსტრაკურიკულური პროგრამები, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს, დამატებით იმუშაონ აკადემიური ჩამორჩენის მქონე ბავშვებთან, გაკვეთილების დასრულების შემდეგ.

**– სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების სტატისტიკაში გამოიკვეთა, რომ ათასობით ბავშვი საერთოდ არ არის იდენტიფიცირებული. როგორ იქცევა სახელმწიფო ამ შემთხვევაში?**

– რასაკვირველია, ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა, ეს ძალიან თანმიმდევრული პროცესია, მრავალკომპონენტიანი და მრავალსეგმენტური – მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის კომპონენტებით. კარგია, რომ ამ ეტაპზე გვაქვს მნიშვნელოვანი მონაცემები, თუმცა, მათი დამუშავებისა და საფუძვლიანი ანალიზისთვის დამატებითი დრო სჭირდება სამინისტროს. დიდი იმედი გვაქვს, რომ ამის შემდეგ ბევრ ღია კითხვას გაეცემა პასუხი.

**– როგორც გვითხარით, ქვეყანაში ექვსი დღის ცენტრი ფუნქციონირებს. რამდენი ბავშვი სარგებლობს ამ მომსახურებით?**

– თითო ცენტრის პოტენციალია, მოემსახუროს 50-დან 80 ბავშვს, მაგრამ რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი (ერთიანი მონაცემი არ არსებობს), გაცილებით ნაკლები რაოდენობის ბავშვებს ემსახურებიან. ამის მიზეზად სახელდება ის, რომ სოციალური მუშაკების მიერ, ცენტრებში ბავშვების გადამისამართება არ ხდება იმ რაოდენობით, როგორი საჭიროებაცაა რეალურად.

**– ეს ნიშნავს, რომ ამ მოდელმა ვერ იმუშავა?**

– არა, ეს არ ნიშნავს ამას, რადგან ცენტრები მუშაობს და პირიქით, ამ მუშაობის ეფექტურობა ინდივიდუალური ბავშვის მაგალითზე ძალიან კარგადაა გამოკვეთილი. სწორედ ამ წარმატებული მუშაობიდან გამომდინარე, სპეციალისტები და პროფესიონალები ფიქრობენ, რომ ცენტრს აქვს პოტენციალი, გაცილებით მეტ ბავშვს მოემსახუროს და გაცილებით მეტი ბენეფიციარი მიიღოს.

**– თქვენი აზრით, რა იქნება ყველაზე სწორი მიდგომა, მოკლე პერიოდში, სკოლის მიღმა დარჩენილი ათასობით მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩასართავად?**

– მოდი ასე ვთქვათ, არსებობს თეორიული გათვლები – სოციალური სამსახური, დღის ცენტრები, სკოლები, ცხელი ხაზი და ეს ძალიან კარგად დაგეგმილი და აწყობილი პროცესია. უბრალოდ, ცალკეულ განშტოებას სჭირდება მაქსიმალური დატვირთვით მუშაობა და ამ პროცესებში ჩართული ყველა უწყების ფუნქცია-მოვალეობების კიდევ უფრო გამოკვეთა. მაგალითად, ჯანდაცვის სამინისტროსთან იმის გარკვევა, თუ რატომ არ მუშაობს გამართულად ცხელი ხაზი, რატომ არ რეაგირებენ სრული დატვირთვით სოციალური მუშაკები... იქნებ სოცმუშაკების ნაკლებობას განიცდის სისტემა ან ნაკლები ხელშეწყობა აქვთ იმისათვის, რომ გავიდნენ ველზე, პრობლემურ ადგილებზე და შეაფასონ თითოეული ბავშვის მდგომარეობა. ეს მოკვლევის საკითხია, ამაზე რეაგირება შესაბამის სამინისტროებს ევალება, მათ, ვისაც ფუნქციურად ეკუთვნის ამ სამსახურების მართვა და მენეჯმენტი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვაფიქსირებთ იმ პრობლემურ საკითხებს, რაც ამ სერვისების სრულფასოვნად და ხარისხიანად მიწოდებას აბრკოლებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – დღის ცენტრების, სოცმუშაკებისა და ცხელი ხაზის გარდა, მნიშვნელოვანია, სკოლამ შეიმუშაოს/შეითავსოს სოციალური ფუნქცია, რაც იმას ნიშნავს, რომ გაკვეთილების დასრულების შემდეგ, აუცილებლად ექსტრაკურიკულური, ანუ არაფორმალური განათლების პროგრამები შესთავაზოს ყველა იმ ბავშვს, ვისაც რაღაც სახის აკადემიური დარღვევა აქვს. როცა ბავშვს შეეძლება სკოლაში დარჩენა და მასთან დამატებით იმუშავებს კომპეტენტური მასწავლებელი, რომელიც აკადემიური ჩამორჩენის დაძლევაში, საშინაო დავალებების მომზადებაში დაეხმარება, თავისთავად, პროცესი ეფექტური გახდება. ასევე, სკოლა დაეხმარება აკადემიური ჩამორჩენის მქონე მოსწავლეს თავისუფალი დროის ორგანიზებულ გადანაწილებაში, ჩართავს სხვადასხვა სასარგებლო აქტივობაში – რეკრეაციულ საქმიანობაში, ფიზიკურ აქტივობებში და ა.შ. ამასთან ერთად, ბავშვი მიიღებს შესაბამის – დაბალანსებულ კვებას, მას შესაძლებლობა ექნება, მაშინ დაუბრუნდეს ოჯახურ კერას, როდესაც მშობლები სახლში იქნებიან. ასეთ შემთხვევაში შეიძენს სკოლა იმ სოციალურ ფუნქციებს, რომელიც უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისთვის, მშობლებისთვის, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის და, რაც მთავარია, იმ ათასობით სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვისთვის. ასეთი ექსტრაკურიკულური არაფორმალური განათლების სერვისით ჩვენ მათ გაძლიერებას და ჩამორჩენის დაძლევას შევძლებთ.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

საგანმანათლებლო ლიდერი

# სკოლა ცოცხალი ორგანიზმია და მისი წარმატების გზა ადამიანურ ურთიერთობებზე გადის



**მამუკა ხამხაძე**
*ქალაქ რუსთავის №4 საჯარო სკოლის დირექტორი*

## სკოლის დირექტორი – მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოხელე

**მიმაჩნია, რომ განათლების სისტემა სახელმწიფოს ფუნდამენტური რგოლია, სკოლის დირექტორი კი ძალზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოხელე,** რომელიც დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. სკოლა და დირექტორი ის პირველადი რგოლია, რომელთანაც უშუალო და ყველაზე აქტიური შემხებლობა აქვს მოსწავლეს. პიროვნების მოქალაქეობრივი აზროვნება სკოლაში მოსწავლის ასაკიდან ყალიბდება. ამდენად, დირექტორი ის ადამიანია, რომელზეც დამოკიდებულია სასკოლო სისტემისა და კულტურის ხასიათი.

ხშირად ხდება, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოების დაკვეთა ერთმანეთისაგან აცდენილია, მაგრამ დირექტორმა უნდა მოძებნოს ბალანსი არსებულ გამოწვევებს შორის, გადალახოს უამრავი წინააღმდეგობა და საკუთარ თავზე აიღოს დიდი პასუხისმგებლობა. მართალია, ყველაფერი დირექტორზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ დიდწილად სწორედ ხელმძღვანელი განსაზღვრავს სკოლაში არსებული სასკოლო კულტურის ხასიათს და სასწავლო პროცესის მიმართულებას. მას შეუძლია შეცვალოს სასწავლო პროცესი, შეუძლია გავლენა მოახდინოს ცალკეული მოსწავლისა და მასწავლებლის მომავალზე, ხელი შეუწყოს სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას ახალგაზრდებში და სასკოლო თემში.

მაგრამ ამ შესაძლებლობების ეფექტურად ამოქმედება საჭიროებს სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან შესაბამის მხარდაჭერას.  ქმედითი ინსტრუმენტებისა და მხარდაჭერის გარეშე სკოლის დირექტორი რიგითი ბიუროკრატია, რომელსაც მხოლოდ საკანცელარიო მოხელის როლისა და მიცემული დავალებების შესრულება შეუძლია.

## მენეჯერი/საგანმანათლებლო ლიდერი

**თანამედროვე სკოლის დირექტორი თავის თავში მოიაზრებს ორ უმთავრეს კომპეტენციას – მენეჯერის და საგანმანათლებლო ლიდერის.** ძნელია იმის შეფასება, რომელი უფრო მნიშვნელოვანია სასკოლო საქმეში, მაგრამ ერთი რამის თქმა ცალსახად შეიძლება: საგანმანათლებლო ლიდერობის გარეშე მხოლოდ კარგი მენეჯერობა განათლების სისტემაში ეფექტიანი შედეგის მომტანი ვერ იქნება, რადგან სკოლაში მთავარი საზრუნავი მაინც საგაკვეთილო პროცესია. ამისათვის საჭიროა დირექტორი იყოს საგანმანათლებლო ლიდერი, მოქმედი პროფესიონალი პედაგოგი და გავლილი ჰქონდეს მასწავლებლობის რთული გზა. თუ დირექტორი მასწავლებლის წვენში არ მოხარშულა, რაგინდ კარგი მენეჯერი იყოს, ის ვერ იქნება აღიარებული ლიდერად მასწავლებლების მხრიდან. მაგრამ მენეჯერობისა და საგანმანათლებლო ლიდერობის ფუნქციების ერთდროულად წარმატებით შესასრულებლად გარკვეული პირობებია საჭირო. დირექტორის საქმიანობა არ უნდა იყოს გადატვირთული ზედმეტი ვალდებულებებით. მას უნდა ჰქონდეს თავისუფალი დრო და ენერგია იმისათვის, რომ მთელი ძალისხმევა წარმართოს საგანმანათლებლო პროცესის მიმართულებით. დირექტორს უნდა ჰქონდეს საშუალება თავი დააღწიოს ყოველდღიურ რუტინას და ბიუროკრატიულ ჩარჩოებს, არ უნდა ეშინოდეს, რომ თუ სკოლაში საგაკვეთილო პროცესებს მეტ დროს დაუთმობს, სხვა მიმართულებით საქმე გაუფუჭდება.

დღეს სისტემაში არიან წარმატებული მენეჯერები და ლიდერები, რომლებმაც დააგროვეს პოზიტიური გამოცდილება, თუმცა ეს მიღწევები მაინც ცალკეული პერსონების დამსახურებაა და არ ატარებს სისტემურ ხასიათს. ამიტომ შეიძლება ითქვას, საგანმანათლებლო ლიდერობის ეფექტური გამოცდილების კუთხით დეფიციტში ვართ.

## ხარისხიანი სასკოლო განათლება

**ხარისხიანი სასკოლო განათლება ქვეყნის მთავარი პრიორიტეტია** – დღეს საზოგადოება და სახელმწიფო აქტიურად საუბრობს ამაზე. არის გადადგმული ცალკეული ნაბიჯებიც ამ მიმართულებით, მაგრამ ვერც საზოგადოება, ვერც სახელმწიფო და ვერც სასკოლო თემი დღემდე ვერ თანხმდება იმაზე, თუ რა არის ეს ხარისხიანი განათლება, რისკენაც ყველა მიისწრაფვის. საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ხარისხიანი განათლების ინდიკატორი კურსდამთავრებულის ოქროსა და ვერცხლის მედალია, ზოგისთვის რეპეტიტორთან წლების მანძილზე მიღებული ცოდნა, ზოგისთვის კი არაფორმალური განათლების გზით მიღებული გამოცდილება. საზოგადოების ნაწილში, მათ შორის სასკოლო თემშიც კი არის სკეპტიკური დამოკიდებულება სკოლაში მიღებული განათლების ხარისხთან დაკავშირებით. რას სწავლობენ ბავშვები სკოლაში? – ეს ყველაზე აქტუალური კითხვაა დღეს.

სისტემაში არსებობს ყველასთვის ცნობილი დოკუმენტები – ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლებიც შეიცავს ხარისხიანი სასკოლო განათლების ელემენტებს. სირთულეს წარმოადგენს ამ მიზნების მიზანმიმართული დანერგვა და შემდეგ შედეგების გაანალიზება.

ჩემი აზრით, ხარისხიანი განათლება ესაა გარკვეული ცოდნისა და უნარების ერთობლიობა, როგორიცაა აკადემიური განათლება, არაფორმალური განათლება, ცხოვრებისათვის მზაობა, პიროვნებისა და მოქალაქის ჩამოყალიბება. რაც მთავარია, ხარისხიანი განათლება ესაა შესაძლებლობების მიცემა მოსწავლეებისათვის, აღმოაჩინონ საკუთარი თავი სკოლაში და აირჩიონ სასურველი მიმართულება ცხოვრებაში. ხარისხიანი განათლების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სასკოლო სივრცეში და მხოლოდ თანმიმდევრული სისტემის არსებობის პირობებში, კომპლექსური მიდგომებით.

ჩემთვის ხარისხიანი სასკოლო განათლება, საბოლოო ჯამში, იზომება მოსწავლესთან მიღწეული კომპლექსური შედეგით. ეს შედეგი შეიძლება იყოს მიღწევები როგორც აკადემიური, ისე არაფორმალური განათლების და სხვა მიმართულებით. ჩვენი სკოლის გამოცდილებიდან შემიძლია ცალსახად განვაცხადო ერთი რამ: ის მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში გამოირჩეოდნენ აკადემიური მოსწრებით, არაფორმალურ განათლებაში ჩართულობით და ივითარებდნენ სხვადასხვა უნარ-ჩვევებს, სკოლის დამთავრების შემდეგაც წარმატებულები და შემდგარი ადამიანები არიან. ვფიქრობ, წარმატების ერთ-ერთი ინდიკატორია რამდენად დასაქმებულია პიროვნება სკოლის დამთავრების შემდეგ და რამდენად  რეალიზდება ცხოვრებაში. კარგი იქნება, ასეთი კვლევა ჩატარებულიყო, რაც გამოავლენდა სკოლის პირდაპირ თუ ირიბ გავლენას ახალგაზრდების სკოლის შემდგომ ცხოვრებაზე.

## წარმატებული სკოლა

**წარმატებული სკოლა ნიშნავს ისეთ სისტემას, სადაც შექმნილია უსაფრთხო და ეფექტიანი სასწავლო გარემო,** სადაც ყველა მოსწავლეს შეუძლია საკუთარი თავის პოვნა და რეალიზაცია; სადაც სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე და არა მხოლოდ სასწავლო შედეგებზე; სადაც სასწავლო პროცესის შინაარსი თანაბრად შედგება როგორც აკადემიური ცოდნის, ისე ცხოვრებისათვის საჭირო სასიცოცხლო უნარ-ჩვევებისა და ღირებულებითი სისტემის ელემენტებისაგან.

## გუნდური მუშაობა

**გუნდური მუშობა უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ პედაგოგიკაში, არამედ ნებისმიერ საქმიანობაში.** ცალკე აღებული მასწავლებლის შედეგი ვერაფრით ვერ იქნება ეფექტიანი გუნდური მუშაობის გარეშე. სამწუხაროდ, გუნდურობა სკოლის სისტემის ძლიერი მხარე არ არის. მასწავლებლების ნაწილმა ვერ დააღწია თავი სტერეოტიპს, რომლის მიხედვითაც თითქოს მოსწავლის წარმატება ცალკეული მასწავლებლის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული. ამას ხელს უწყობს ქართული ხასიათი – ჩვენ უფრო ინდივიდუალისტები ვართ, ვიდრე ჯგუფურად მუშაობისკენ მიდრეკილნი. მეოთხე სკოლის მაგალითზე შეიძლება ითქვას, თუ რაიმესთვის მიგვიღწევია, მხოლოდ კვალიფიციური მასწავლებლების გუნდური მუშაობით და კოორდინირებული მიდგომებით. პედაგოგიური საქმიანობის კოორდინაციას, გამოცდილების გაზიარებას და მის გაანალიზებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასკოლო განათლებაში.

ჩემი ყოველდღიური საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებაა ზრუნვა მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე, რაც გამოიხატება შემდეგში: პედაგოგების დარწმუნება იმაში, რომ ინდივიდუალური პროფესიული განვითარება და გუნდური მუშაობა მოსწავლესთან წარმატების მიღწევის ერთადერთი გზაა; ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლებისათვის უსაფრთხო სამუშაო და ემოციური გარემოს შექმნა, რათა მათ არ ეშინოდეთ შეცდომების დაშვების; უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის მიმღებლობა და ეფექტური უკუკავშირები პროფესიული ზრდისათვის, ასევე პედაგოგის ნებისმიერი წარმატების მხარდაჭერა და წახალისება.

## საჭირბოროტო კითხვები

**სკოლის დირექტორი დღეს მაგონებს მითოლოგიურ მრავალთავიან არსებას,** რომელიც პასუხისმგებელია ყველაფერზე, რაც კი სკოლაში ხდება და ყველაზე, ვინც კი სკოლაში საქმიანობს. ერთი შეხედვით ეს ბუნებრივია, აბა სხვა ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი ორგანიზაციაზე თუ არა მისი ხელმძღვანელი. მაგრამ თუ საქმეს უფრო კვალიფიციურად შევხედავთ, გაგვიჩნდება რამდენიმე ლეგიტიმური კითხვა: აქვს კი სკოლის დირექტორს ამდენი კომპეტენცია და დაკისრებული ვალდებულებების განხორციელების რეალური შესაძლებლობა? და მეორეც, აქვს თუ არა დირექტორს ამდენი პასუხისმგებლობის  განხორციელების შესაბამისი ინსტრუმენტები? არის ის სამართლებრივად საკმარისად დაცული იმისათვის, რათა თავის თავზე აიღოს ამდენი პასუხისმგებლობა და რისკი ყველა მიმართულებით? ეს ის საჭირბოროტო კითხვებია, რომლებიც დღეს ყველა ხელმძღვანელს აწუხებს.

## რა სჭირდება დღეს სკოლის დირექტორს

**პასუხი ცალსახაა – დირექტორს სჭირდება ისეთი სასკოლო სისტემა, რომელშიც ის შეძლებს** მასზე დაკისრებული სახელმწიფო ვალდებულებების სრულად და ხარისხიანად შესრულებას; სჭირდება მეტი ქმედითი ინსტრუმენტი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სისრულეში მოიყვანოს თავისი უფლებამოსილებები; დირექტორს სჭირდება ნაკლები ბიუროკრატია და მეტი დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობების გადანაწილება და შესაბამისი სამართლებრივი სტატუსის მქონე გუნდის არსებობა სკოლაში, რომელიც მას სკოლის განვითარებაში დაეხმარება;  საჭიროა დირექტორი უფრო ქმედითად მონაწილეობდეს სკოლასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. დაბოლოს, დირექტორს სჭირდება მეტი მოტივაცია და მეტი გარანტიები, რათა სისტემის ტურბულენტობის პირობებში არ აღმოჩნდეს გარემოებების მსხვერპლი. ბოლო წლებში, განათლების პრიორიტეტად გამოცხადების შემდეგ, სამინისტროს მხრიდან გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები დირექტორის საქმიანობის მხარდასაჭერად და მისი მნიშვნელობის წარმოსაჩენად, თუმცა ეს საკმარისი არ არის.

## გზა, რომელიც ადამიანურ ურთიერთობებზე გადის

**სკოლა ცოცხალი ორგანიზმია და მისი წარმატების გზა ადამიანურ ურთიერთობებზე გადის.** ამიტომაც, სკოლის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანებს და დროთა განმავლობაში კადრების გადახალისებას როგორც მასწავლებლების, ისე ხელმძღვანელების კუთხით. კადრების ცვლა ბუნებრივი პროცესია, რომელიც  ემსახურება სკოლის განვითარებას. მაგრამ ეს პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ ხელი არ შეეშალოს კონკრეტული ორგანიზაციის სტაბილურობას, მდგრადობას და უწყვეტობას.

ვფიქრობ, დირექტორების სერტიფიცირების პროცესი დღეს განათლების სისტემის ერთ-ერთი საკვანძო გამოწვევაა. განსჯის საგანია ვინ უნდა იყოს სკოლის დირექტორი, როგორ უნდა შეირჩეს ის, რა უნდა იყოს დირექტორის ძირითადი ფუნქცია სკოლაში და ა.შ.

დირექტორების კორპუსი, ისევე როგორც მასწავლებლებისა, ცალსახად საჭიროებს გადახალისებას, მაგრამ პროცესი რომ შედეგიანი იყოს, საჭიროა შესაბამისი გარემო პირობების არსებობა. კერძოდ, სერტიფიცირება არ უნდა იყოს ადამიანების მექანიკური გადაადგილება ერთი სკოლიდან თუ სამსახურიდან მეორეში. როტაციის შედეგი უნდა იყოს სისტემის შედეგიანობის ამაღლება, რისთვისაც საჭიროა მთელი რიგი  კომპლექსური ცვლილებები სისტემაში, კერძოდ, დირექტორის აღჭურვა ქმედითი ინსტრუმენტებით.

შედეგიანი როტაციისთვის აუცილებელია ორი რამ: მოქმედი დირექტორების საქმიანობის შეფასება, ახალი კადრების მომზადება. ამ ორი მდგენელის გარეშე სკოლის დირექტორების როტაცია არაეფექტურად მიმაჩნია. სკოლა ჩარხი არ არის, რომ ერთმა ადამიანმა ამოქოქოს. სკოლის წარმატებას ჭირდება რამდენიმეწლიანი მუშაობა ჯერ ადამიანების ნდობის მოსაპოვებლად და შესაბამისი გუნდის შესაქმნელად, შემდეგ კი მათთან ერთად დასახული მიზნების განხორციელება.

ამ კონტექსტში ჩნდება მთავარი კითხვები: თუ დირექტორი ერთ სკოლაში არ ვარგა ხელმძღვანელად, რა საჭიროა მისი როტაცია მეორე სკოლაში? და თუ დირექტორი კარგი ხელმძღვანელია კონკრეტულ სკოლაში, მაშინ რა საჭიროა მისი ადგილმონაცვლეობა? რამდენად არსებობენ სისტემაში ის ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ წარმატებული ხელმძღვანელების ჩანაცვლება?

**დისკუსია განათლებაზე**

# სტატუსიანი მასწავლებლების რაოდენობა ვერ განსაზღვრავს მოსწავლეთა უკეთეს შედეგს

**ლია კუხიანიძე**
*ანდრია რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მენტორი მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი*

✔ სქემა კი არ უნდა გადაიხედოს და შელამაზდეს-გაიკრიჭოს, უნდა გაუქმდეს, რადგან არ არსებობს ქართული საგანმანათლებლო სისტემა, ანუ საფუძველი იმისა, რაზეც დაშენდება მართლაც ქართული სკოლა, ამიტომ, ამის გათვალისწინების გარეშე შემუშავებული ე.წ. სქემა და სხვა მსგავსი დოკუმენტი არაფრის მომცემია.

✔ სტატუსებისათვის „ბრძოლამ“, ყოველწლიურმა „წაჯექ-უკუჯექობამ“ ნათლად დაგვანახა, რომ სტატუსიანი მასწავლებლების რაოდენობა სრულიადაც ვერ განსაზღვრავს მოსწავლეთა უკეთეს შედეგს. მასწავლებელთა პროფესიული ზრდისათვის სულ სხვა რამაა საჭირო, მით უფრო მაშინ, როცა ქვეყანაში არ მზადდებიან მასწავლებლები, აღარას ვამბობ საბუნებისმეტყველო საგნებზე, განსაკუთრებით ფიზიკაზე, რომლის მასწავლებლები მალე სანთლით გახდებიან საძებნი. ბევრ ევროპულ ქვეყანას აქვს მასწავლებელთა პროფესიაში შესვლის საინტერესო გამოცდილება, რომელთა შესწავლა და ჩვენი ქვეყნის ინტერესებზე მორგება ძნელი არ იქნება, მაგრამ როცა არ არსებობს პოლიტიკური ნება იმისა, რომ შეიქმნას ჰაერივით აუცილებელი სრულიად ახალი სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ქართული სკოლისათვის აუცილებელი საჭიროებანი, რომლის განხორციელებას, რა თქმა უნდა, გარკვეული დრო და ფინანსები დასჭირდება, მანამ ყველანაირი სტატუსი და ჩასაბარებელი გამოცდები ფარსი იქნება.

უნდა ჰქონდეთ თუ არა ერთნაირი სტატუსი 10-კრედიტიან და 1, 4, 7-კრედიტიან მასწავლებლებს? ეს იმას ჰგავს, ერთნაირად, მათი ნიჭისა და მომზადების გაუთვალისწინებლად, შევაფასოთ ყველა მოსწავლე, მაგრამ იმის გამო, რომ 1, 4, 7-კრედიტიან მასწავლებლებს უკვე მიანიჭეს სტატუსი, ამაზე ლაპარაკი უკვე ვერაფერს შეცვლის. ცუდია, ზემდგომთა არათანმიმდევრული ქმედების გამო, ისევ სკოლა და მასწავლებელი რომ ზიანდება.

✔ ახალი დოკუმენტის – „მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესი“ – შემოღებით სიტუაცია საუარესოდ შეიცვლება, რადგან სკოლა ისედაც განიცდის პროფესიონალების დეფიციტს და როცა ახალი დოკუმენტი პედაგოგიური განათლების არმქონე ნებისმიერ პირს საშუალებას მისცემს, მასწავლებლად მოგვევლინოს...

✔ დაუსრულებელი საგნობრივი ტრენინგები მასწავლებლებს იმ ტერმინოლოგიასა და მექანიზმს უხსნის, ე.წ. სქემით განსაზღვრული სტატუსის მისაღებად რომ სჭირდება, მისი პროფესიული ზრდისთვის კი – ვერაფერს. ვეთანხმები მასწავლებელთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებას – გამოცდა ჩაბარებული და პრაქტიკოსი მასწავლებლები ერთნაირ გაკვეთილებს ატარებენ, სტატუსები მხოლოდ პედაგოგის ხელფასზე აისახება და განათლების დონე ისევ დაბალია.

**ლაშა ლალიაშვილი**
**„შპს რობერ შუმანის ევროპული სასწავლებელი“, მაძიებელი მასწავლებელი**

✔ სქემა ავალდებულებს მასწავლებლებს, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, გაიარონ ტრენინგები, მათ შორის უმაღლესი სტატუსის – მენტორის სტატუსის მასწავლებლებმაც. ცოტა უცნაურია, რატომ არის მენტორი მასწავლებელი ვალდებული, ყოველწლიურად, გაიაროს ტრენინგი, ან რა კვალიფიკაციის მასწავლებელი ჩაუტარებს მას ტრენინგს – პროფესორი თუ აკადემიკოსი? მასწავლებელს საშუალება უნდა ჰქონდეს, თვითონ განსაზღვროს რაში სჭირდება დახმარება, რა დოზით მიიღოს და ვისგან.

მასწავლებლები იძულებულები არიან წერონ რეფლექსიები, თემატური გეგმები და შემაჯამებლის ანალიზები. ეს ყველაფერი უაზრო, არაფრის მომცემი, მძიმე ტვირთია და არც მასწავლებელს ადგება რამეში და არც მოსწავლეს. მასწავლებელს არასაჭირო ქაღალდომანია სასწრაფოდ უნდა შეუმსუბუქდეს. აღსანიშნავია, რომ მათემატიკისა და ტექნოლოგიების მასწავლებელს უფლება აქვს, ასწავლოს ფიზიკა, რაც არასწორია. ფიზიკა ყველაზე რთული საგანია და შეუძლებელია ტექნოლოგიების მასწავლებელმა ხარისხიანად ასწავლოს.

✔ ცხადია, არასწორია, რომ 1-4-7-კრედიტიან მასწავლებლებს ჰქონდეთ 10-კრედიტიანი მასწავლებლის მსგავსი სტატუსი. 1 კრედიტი მასწავლებელს ენიჭება, თუ ის მოიპოვებს მაქსიმალური ქულის 31-41%-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ მან თავისი საგანი პრაქტიკულად არ იცის. აქედან გამომდინარე, წარმოუდგენელია ასეთმა მასწავლებელმა ხარისხიანი გაკვეთილი ჩაატაროს და მოსწავლეს საჭირო ცოდნა გადასცეს.

✔ ახალი დოკუმენტის „მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესი“ შესახებ წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. შესაცვლელი კი საკმაოდ ბევრია. პირადად მე, მაძიებელი მასწავლებლის სტატუსი მაქვს მაშინ, როცა ფიზიკის დოქტორანტი ვარ, სკოლაში 5-წლიანი მუშაობის გამოცდილებით და ფიზიკის საგნის გამოცდაც 10 კრედიტზე მაქვს ჩაბარებული. დოქტორის ხარისხის მონიჭების შემთხვევაში, მაინც მაძიებლის სტატუსი მექნება, გამოდის, რომ უმაღლესი აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ უმდაბლესი მასწავლებლის სტატუსიც კი არ მომენიჭება. ეს სრულიად გაუგებარია. ჩემი აზრით, მასწავლებლის სტატუსი და მისი კარიერული წინსვლა, უპირველეს ყოვლისა, მის აკადემიურ ხარისხზე უნდა იყოს დამოკიდებული.

✔ გარე დაკვირვება ერთგვარი სტრესია მასწავლებლისთვის და მეორე მხრივ, აიძულებს მას „დადგას“ ერთი საჩვენებელი გაკვეთილი. ცხადია, ყველა დანარჩენი გარე დაკვირვების გაკვეთილის მსგავსი ვერ იქნება. მაშინ ისმის შეკითხვა, ვის სჭირდება ეს? წარმოდგენას ვდგამთ?

✔ სამყაროში ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ტრენინგების ჩატარებისას საჭიროა გავითვალისწინოთ რა კვალიფიკაციის ტრენერი ატარებს ტრენინგს, რას ასწავლის მასწავლებლებს და თვითონ თუ მუშაობს სკოლაში ან ოდესმე თუ უმუშავია. ხანდახან ხდება, მაგალითად, რომ ფიზიკის მასწავლებლებს ბიოლოგიის მასწავლებელი უტარებს ტრენინგს. საინტერესოა, რას ასწავლის იგი ამ დროს?

✔ მასწავლებელს, ისევე როგორც ყველა სხვა პროფესიის წარმომადგენელს, მოტივაცია ესაჭიროება. ცხადია, გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სახელმწიფომ უფრო მეტი უნდა გადაუხადოს მასწავლებელს, რადგან სთხოვს გამოცდის ჩაბარებას. ყველაზე დიდი მოტივაცია, ჩემი აზრით, იქნება თუ მასწავლებელს ხელფასზე მიეცემა დანამატი, რომელიც განისაზღვრება მოსწავლეთა შედეგებით. რა თქმა უნდა, სქემა მასწავლებელს ბევრ არაფრისმომცემ საქმიანობას ავალებს სტატუსის ასამაღლებლად. ხშირ შემთხვევაში, ეგ საქმიანობები მოსწავლეებს არავითარ შედეგს არ აძლევს, ამიტომაც არის განათლების დონე ისევ დაბალი და მიდის უარესობისაკენ.

✔ სრულიად ვეთანხმები კლასიდან კლასში მოსწავლის გადასაყვანი გამოცდების დამკვიდრებას, რომელიც მოსწავლეების შედეგებით მასწავლებლის კომპეტენციას დაადასტურებს. მოსწავლეებს გამოცდები მოუხსნეს და მასწავლებლებს დაუნიშნეს. 2019 წელს სკოლის გამოსაშვები ე.წ „კატის“ გამოცდების გაუქმებამ ძალიან უარყოფითად იმოქმედა განათლების ხარისხზე. პრაქტიკულად ნულთან ახლოს ჩამოვიდა საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება. ამაზე იმოქმედა ეროვნული გამოცდებიდან აღნიშნული ბლოკის საგნების ამოღებამაც. ეს გადაწყვეტილება აზრს მოკლებული იყო. არგუმენტად მოჰყავდათ ის, რომ „კატის“ გამოცდები მოსწავლის აზროვნების უნარებს კი არა, მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას ამოწმებდა. თუმცა, ვინ უშლით გამოცდების ისეთი დავალებების შედგენას, რომლებიც უფრო მაღალ სააზროვნო უნარებზე იქნება გათვლილი? თუმცა მაშინ ხომ გაცილებით მეტი ჩაჭრილი მოსწავლე გვეყოლებოდა. ამის გამო გამოცდები გაუქმდა და შესაბამისად აღარც ერთი ჩაჭრილი მოსწავლე აღარ გვყავს.

✔ „ახალი სკოლის მოდელი“ შემოღებულია მოსწავლეთა სააზროვნო უნარების განვითარებისთვის, რაც უნდა უზრუნველყოს ე.წ. „კომპლექსურმა დავალებებმა“. რაც ფიზიკასა და მათემატიკაში ვნახე, საერთოდ არ განსხვავდება ადრინდელი დავალებებისაგან, უბრალოდ, ფორმალისტურ ჩარჩოებშია მოქცეული და კიდევ უფრო გამარტივებულია. ვფიქრობ, ასეთი მიდგომებით არც განათლების ხარისხი აიწევა და არც ბავშვებს განუვითარდებათ მაღალი სააზროვნო უნარები.

**თეა ალიმბარაშვილი**
*კავთისხევის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების წამყვანი მასწავლებელი*

✔ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცებამდე, აუცილებელია დადგენილებაში ცვლილებების შეტანა, რომელიც მთლიანად იქნება მასწავლებლის საჭიროებაზე და მხარდაჭერაზე ორიენტირებული. დადგენილება უნდა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. ასეთ მნიშვნელოვან, სრულყოფილ დოკუმენტს პედაგოგები უნდა ვეცნობოდეთ tpdc.ge გვერდზე.

პედაგოგებს გვაქვს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eschool.emis.ge, სადაც საკუთარ პორტფოლიოში შეგვეძლო მასალების განთავსება. ახლა კი ამის ვალდებულება რატომღაც მოგვიხსნეს. მაფიქრებს ეს საკითხი, რადგან 2014 წელს ძველ სქემაში ჩართული მასწავლებლების შეფასება დაგროვილი აქტივობების საფუძველზე მოხდა, სადაც უმაღლესი – 6 კრედიტქულა, 5000 პედაგოგიდან, მხოლოდ მცირე ნაწილმა მიიღო, რადგან მათი ნამუშევრები უარყოფითად შეფასდა. ახლანდელი დადგენილებით, თუ პედაგოგი ერთიანად ატვირთავს დაგროვილ მასალას eschool-ის ბაზაში, შესაძლებელია, არ შეუფასდეს დადებითად. ვფიქრობ, უმჯობესია მოგვეცეს საშუალება, აღნიშნულ ბაზაში განვათავსოთ მასალები და შემოწმდეს ეტაპობრივად.

✔ სავალდებულო გაკვეთილების ჩატარება ივნისამდე, რომელზეც მონიტორინგს ახორციელებს დირექტორი და ხარისხის მართვის ჯგუფი, არ მიმაჩნია სწორად. სემესტრში ერთი გაკვეთილის ჩატარებაც საკმარისია, რათა დადგინდეს მასწავლებლის საჭიროება/საჭიროებები.

✔ მოგეხსენებათ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის მიხედვით მიღებული სტატუსი უვადოა და მისი შეჩერება მხოლოდ სქემის გაუქმების შემდეგაა მოსალოდნელი. პედაგოგებს, რომლებსაც არ სურთ წინსვლა, სქემა დიდ მოთხოვნებს არ უყენებს. მათ მოთხოვნას, სქემის გაუქმებასთან დაკავშირებით, არ ვეთანხმები. თუმცა, ცვლილებების შეტანა დროულად უნდა მოხდეს. მასწავლებლების კითხვებს, გამოთქმულ შენიშვნებს შესწავლა სჭირდება. ვიმედოვნებ, სქემის დასრულებული ვარიანტი გაამართლებს ჩვენს მოლოდინს.

✔ 10-კრედიტიანი და 1, 4, 7-კრედიტიანი მასწავლებლების ერთმანეთისგან გამიჯვნა პირდაპირ ეწინააღმდეგება სქემის ამოცანებს, რომელიც უზრუნველყოფს საუკეთესო კადრების მოზიდვას, უმაღლებს მასწავლებელს სტატუსსა და მოტივაციას. სქემის ჰუმანურობა საუკეთესო მიდგომაა. მიუხედავად ამისა, მაინც ვეთანხმები ახალ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით *„წამყვანი/მენტორი მასწავლებლის სტატუსის ცვლილებისთვის აუცილებელი წინაპირობაა საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება არანაკლებ 50%-ანი შედეგით, ან სტატუსი მოპოვებული ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხის საფუძველზე“.*

იმედი მაქვს, მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესი, კრედიტების გარეშეც, უზრუნველყოფს პედაგოგთა წინსვლასა და პროფესიულ განვითარებას. მათი პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობა მიმართული იქნება თვითგანვითარებაზე, შეფასდება მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგებით, მათთან განხორციელებული პროექტებით, საქმიანობებით. სტანდარტის მეორე ნაწილის მიხედვით, მასწავლებლის წინსვლა შეფასდება სათანადო კომპეტენციებით.

✔ უფროსის, წამყვანისა და მენტორის სტატუსის მქონე პედაგოგებს, სასკოლო ცხოვრებაში, მეტი უპირატესობა ენიჭებათ, ვიდრე პრაქტიკოსებს. ხარისხის მართვის გუნდის წევრებად, პირველ რიგში, წამყვანი და მენტორი პედაგოგები მოიაზრებიან. კანონის მიხედვით, პრაქტიკოს მასწავლებელზე ნაწილდება ნაკლები საათების რაოდენობა. საგნობრივ კათედრებზე გაერთიანებული მასწავლებლები ინაწილებენ საათებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სკოლას ნამდვილად არაკომპეტენტური ან კორუმპირებული ხელმძღვანელი ჰყავს.

✔ გარე დაკვირვება მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობის შეფასების შემადგენელი ნაწილია, უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან მხოლოდ სტატუსის შესაბამისი პროფესიული უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარება, შესაფასებლად, საკმარისი არ არის. სტატუსის ამაღლების მსურველ პედაგოგს უნდა შეეძლოს როგორც პირისპირ, ისე დისტანციური სწავლების დროს ხარისხიანი სასწავლო პროცესის ხარისხიანად მართვა, უნდა ფლობდეს ისტ-ის უნარებს, რათა შეძლოს კომუნიკაციის არხების ათვისება და სასწავლო პროცესის მასზე მორგება.

✔ ვემხრობი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სისტემის განვითარებას. სასურველია, უფრო ხშირად ტარდებოდეს განათლების სკოლის მასტერკლასები პედაგოგებისთვის, სადაც დასწრება ნებაყოფლობითი იქნება. სავალდებულო, საგნობრივი ტრენინგების გავლა თითოეული მასწავლებლის მოვალეობაა. უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ ყოველი მომდევნო ტრენინგი უფრო საინტერესო და ახლის მომცემი იქნება.

✔ დროსთან ერთად იცვლება, იხვეწება ესგ. მიმდინარეობს მოკლევადიანი სასწავლო მიზნებიდან გრძელვადიან მიზნებზე გადასვლა. არასწორად შერჩეული სახელმძღვანელო სწავლების ხარისხს დაბლა სწევს, ყველა მასწავლებელს არ შეუძლია გაამდიდროს მასალა განმამტკიცებელი სავარჯიშოებით, ისარგებლოს ინტერნეტში არსებული საგაკვეთილო რესურსებით ან თავად შექმნას რესურსი და მოარგოს მოსწავლეების საჭიროებებს, უპირატესობა მიანიჭოს კეთებით სწავლებას, ისტ-ის გამოყენებას. თანამედროვე პედაგოგი პირდაპირი სწავლების მეთოდს მხოლოდ მიზანმიმართულად გამოიყენებს და ბავშვს თავს არ მოაბეზრებს ზედმეტი აქტიურობითა და ლაპარაკით; აგრძნობინებს, რომ მთავარი ფიგურა გაკვეთილზე მოსწავლეა, თვითონ მუდმივად სწავლების, ძიების პროცესში იქნება და არასოდეს იტყვის, რომ გამოცდა ჩააბარა ან პედაგოგობის დამადასტურებელი დიპლომი აიღო და ამით პროფესიული განვითარების ვალდებულებისგან თავისუფალია.

✔ ჩვენი სკოლა, 2 წლის წინ, ჩაერთო „ახალი სკოლის მოდელში“. განათლების ქართული მოდელი იცვლებოდა და იხვეწებოდა ჩვენთან ერთად. მასწავლებლებს შორის, ასევე ექსპერტებთან მიმართებაში, ჩამოყალიბდა უფრო მაღალი თანამშრომლობითი კულტურა. არ ვაზვიადებ, კოლოსალური შრომის ფასად შევქმენით თემატური მატრიცები და სასკოლო კურიკულუმი კლასების მიხედვით. ვუზიარებდით ერთმანეთს გამოცდილებას და ხდებოდა იდეების გენერირება, გაცვლა.

კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს უკლებლივ ყველა მოსწავლის ჩართულობას სწავლა-სწავლების პროცესში. შეგვიძლია უკვე შექმნილი კომპლექსური დავალების ისე მოდიფიცირება, რომ მოსწავლეების ინტერესებსა და შესაძლებლობებს მოვარგოთ. მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება, სასწავლო პროგრამების დახმარებით საინტერესო პროდუქტის შექმნა. მოსწავლე თვალსაჩინოდ, გაბედულად წარმოაჩენს, გაასიტყვებს საკუთარ ნაშრომს კლასის წინაშე.

ბოლო დროს ძირითადი აქცენტი დიფერენცირებულ სწავლებასა და შეფასების სისტემაზე გაკეთდა. სასკოლო კურიკულუმი ადაპტირდა სსსმ მოსწავლეებისთვის. სოლო ტაქსონომია – სწავლებაზე დაკვირვების შესაძლებლობის მეთოდი, საუკეთესოა, პედაგოგს შეუძლია გააანალიზოს მოსწავლის პასუხები და გაიგოს რომელ დონეს მიაღწია, ასევე მისცეს კოგნიციის დონის შესაფერისი განმავითარებელი შეფასება.

შექმნილია კომპლექსური დავალებების ბანკი და დაინტერესებული პედაგოგი აუცილებლად ისარგებლებს სათანადო რესურსებით, გაიადვილებს საქმეს, აირჩევს საგნების მიხედვით სასურველ კომპლექსურ დავალებას აქტივობებით, რესურსებით, ჰიპერლინკებით, მოარგებს საკუთარი მოსწავლეების უნარებს და გაამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს.

**მოამზადა მაკა ყიფიანმა**

პროფესიული განვითარება

# ჩვენი მიზანია, თითოეული სსსმ მოსწავლე იყოს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი

## ⇨ ინტერვიუ პირველ წამყვან სპეციალურ მასწავლებელთან



**ირინე ფიროსმანაშვილი**
*დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის წამყვანი სპეციალური მასწავლებელი*

**– წლის მასწავლებლად დასახელების შემდეგ, პირველი სპეციალური მასწავლებელი ხართ, ვინც სტატუსი აიმაღლა. რას შეცვლის ეს თქვენს საქმიანობაში?**

– განათლების მინისტრის ბრძანების თანახმად, 1 მარტს მომენიჭა წამყვანი სპეციალური მასწავლებლის სტატუსი. ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა. ჩემი ვალდებულებაა პოზიტიური, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა; სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სწავლა-სწავლების სტრატეგიების გამოყენება, სასწავლო რესურსის შექმნა-გამოყენება; სსსმ მოსწავლეთა შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა-განხორციელებაში მონაწილეობა; თვითგანვითარებაზე და სკოლის განვითარებაზე ზრუნვა, პროფესიული ეთიკის დაცვა, ასევე იმ კომპეტენციების დაკმაყოფილება, რისი ვალდებულებაც აქვს წამყვან სპეციალურ მასწავლებელს. ერთსაც დავამატებდი, სტატუსი და წლების განმავლობაში მიღებული გარკვეული გამოცდილება, საშუალებას მომცემს ჩემი ცოდნა გავუზიარო კოლეგებს, განსაკუთრებით მათ, ვინც ახლა იწყებს ამ სფეროში საქმიანობას.

**– სსსმ მოსწავლისთვის საჭირო პირობები თუ არის დღეს სკოლაში უზრუნველყოფილი (პანდუსი, რესურსოთახი, თვალსაჩინოება, სახელმძღვანელოები), ამათგან რისი დეფიციტია?**

– დღეს სკოლაში მთლიანობაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლისათვის საჭირო პირობები. ყველა ზოგად საგანმანათლებლო სკოლის სივრცეში, სადაც სწავლობს სსსმ მოსწავლე, ფუნქციონირებს შესაბამისად მოწყობილი რესურსოთახი. თვალსაჩინოების შეძენა ხდება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით. გასულ წლებთან შედარებით არის უფრო მეტი სახელმძღვანელოები. სამინისტროს მიერ სკოლებში იგზავნება როგორც მატერიალური სახით, ასევე ელექტრონული ლიტერატურა. რაც შეეხება პრობლემებს, ვისურვებდი, რომ სსსმ მოსწავლეებისათვის გარემო კიდევ უფრო ადაპტირებული და უნივერსალური იყოს.

**– თითქმის 15 წელია, ამ სფეროში საქმიანობთ. კონკრეტულად რა გაუმჯობესდა, კერძოდ, თქვენს სკოლაში და რა არის ის, რაც, პირველ რიგში, უნდა მოგვარდეს?**

– სსიპ ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაში 2014 წლიდან ვმუშაობ. აღსანიშნავია დირექციის მხარდაჭერა ინკლუზიური განათლების განვითარების მიმართულებით. რესურსოთახი აღიჭურვა ტექნიკური, მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და თვალსაჩინო რესურსით. პოზიტიურია სკოლის თემის დამოკიდებულება სსსმ მოსწავლეების მიმართ, გაიზარდა ცნობიერება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ. განსხვავებული ადამიანების მიღებითა და დაფასებით ბავშვებს ჯანსაღი ღირებულებები ჩამოუყალიბდათ. გამოვარჩევ მშობლებთან აქტიურ თანამშრომლობას და კომუნიკაციას. წლების განმავლობაში მასწავლებლებმა შეიძინეს სსსმ და შშმ პირებთან მუშაობის გამოცდილება, გამოწვევების პროცესში გუნდური მუშაობა და გადაწყვეტილებების მიღება მოსწავლეზე ორიენტირებულ ხარისხიან განათლებას უზრუნველყოფს.

რაც შეეხება ჩვენს სკოლაში მოსაგვარებელ საკითხს, პირველ რიგში, ვისურვებდი ეტლით მოსარგებლე მოსწავლის სკოლის ზედა სართულებზე გადაადგილების უზრუნველყოფას.

**– მშობელი თქვენი ყველაზე აქტიური მხარდამჭერი და თანამოაზრეა – როგორ თანამშრომლობთ. კონკრეტული მაგალითით ხომ ვერ დაგვანახებთ ამ თანამშრომლობის აუცილებლობას და სიკეთეს**

– მშობელთან პოზიტიურ, ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თითოეულ მშობელთან მაქვს აქტიური კომუნიკაცია. აუცილებელია მშობელი გრძნობდეს თანადგომას და მხარდაჭერას. მაგალითად მოვიყვან ერთ-ერთი მოსწავლის ლ.თ.-ს მშობელს, რომელთანაც რამდენიმე წლიანი ურთიერთობა მაკავშირებს, რაც უფრო ჩაერთო მშობელი, მით მეტად გაიზარდა ბავშვის შედეგები, მოსწავლეს ჩამოუყალიბდა სოციალური უნარები და მისი ქცევა პოზიტიური გახდა როგორც სახლში, ასევე სკოლაში, გაიზარდა საკლასო, სასკოლო და სკოლის გარეთ წრეებზე მოსწავლის ჩართულობა, შეიძინა მეგობრები, გახდა თავდაჯერებული და მოტივირებული, გაუჩნდა საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა. ეს ყველაფერი მოხერხდა მშობელთან აქტიური კომუნიკაციით და თანამშრომლობით.

**– რამდენი სსსმ მოსწავლე გყავთ და რა იცით მათ შესახებ სკოლის დამთავრების შემდეგ (თუ უკვე გყავთ ასეთები), რას სწავლობენ სკოლაში ისეთს, რაც მერე ცხოვრებაში ადგებათ?**

– სკოლაში გვყავს 10 სსსმ მოსწავლე და ვართ 2 სპეციალური მასწავლებელი. ჩვენი მიზანია თითოეული სსსმ მოსწავლე იყოს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი და შევძინოთ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. ტრანზიციის ხელშეწყობის მიზნით, უფროსკლასელთან ვახორციელებთ ახლო მდებარე პროფესიულ სასწავლებელში ვიზიტს, მოსწავლის ინტერესების წრის გაფართოების და პრიორიტეტული საქმიანობის გამოყოფა-არჩევის მიზნით. ბავშვების ნაწილი სკოლის შემდეგ აგრძელებს სწავლას პროფესიულ სასწავლებელში, ხშირ შემთხვევაში ისინი ინარჩუნებენ კონტაქტს სკოლის მასწავლებლებთან და ღებულობენ მათგან რჩევებს.

**– სსსმ ბავშვებთან მიმართებით სიტყვა „წარმატება“ სხვა მნიშვნელობისაა. რა შემთხვევაში მიიჩნევთ თოთოეულ სსსმ ბავშვთან გაწეულ შრომას წარმატებულად, რა შედეგი გარწმუნებთ, რომ ამ კონკრეტულ ბავშვთან თქვენი შრომა შედეგიანი ანუ წარმატებული იყო ?**

– წარმატება ინდივიდუალურია თითოეულ მოსწავლესთან. წარმატების მისაღწევად, პროფესიის სიყვარულთან ერთად, პასუხისმგებლობა, საქმისადმი ერთგულება და შრომისმოყვარეობაა საჭირო. თითოეულ ბავშვთან გაწეულ შრომას წარმატებულად მივიჩნევ, როცა გაზრდილია მისი დამოუკიდებლობის ხარისხი, არის კლასის სრულფასოვანი წევრი, აღწევს წინასწარ დაგეგმილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს და ამასთანავე ვხედავ მშობლის მადლიერ თვალებს. თითოეული მოსწავლის მცირედი წარმატებაც კი მაბედნიერებს.

**– გაქვთ თუ არა კოლეგებთან საქმიანი ურთიერთობა. ამ კონტინგენტის განსაკუთრებულობიდან გამომდინარე, სარგებლობთ თუ არა ერთმანეთის პროფესიული გამოცდილებით?**

– კოლეგებთან ხშირად მაქვს საქმიანი ურთიერთობები. ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებას, მიღწევებს და გამოწვევებს. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღ უკუკავშირს.

**– რა მხარდაჭერა აქვთ სპეციალურ მასწავლებლებს სამინისტროს ან მასწავლებლის სახლის მხრიდან, რომ წარმატებით გაიარონ სასერტიფიკაციო გამოცდა?**

– წელს ზაფხულში დაგეგმილია უფროსი სპეციალური მასწავლებლის კომპეტენციის დადასტურების გამოცდა. გასულ წელს ჩატარდა სპეციალური მასწავლებლის საცდელი ტესტირება. სამინისტროსა და მასწავლებლის სახლის ორგანიზებით აპრილის თვეში დაგეგმილია წინა საგამოცდო 16-საათიანი ტრენინგი სპეციალური მასწავლებლებისათვის. ასევე გამოქვეყნდა 2021 წლის უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდაზე კომპეტენციის დადასტურების ტესტირებაზე ტესტის აღწერა, შეფასების ზოგადი კრიტერიუმები, ტესტის მაქსიმალური ქულები და საგამოცდო დროის ხანგრძლივობა. მითითებულია სპეციალური მასწავლებლის საგამოცდო პროგრამა პროფესიულ უნარებში და ლიტერატურა, დამხმარე მასალის მოძიება შესაძლებელია ბმულზე: inclusion.ge

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და წარმატებები ვუსურვო ჩემს კოლეგებს.

ესაუბრა **ანა ფირცხალაიშვილი**

Info
www.akhaliganatleba.ge

# აპრილიდან სკოლებში 28 სოციალური მუშაკი იმუშავებს

საქართველოს განათლების სისტემაში პირველად გაჩნდნენ სოციალური მუშაკები, რომლებიც სკოლებში ჯანსაღი, პოზიტიური საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფითა და სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის მხარდაჭერით მოსწავლეებს სხვადასხვა სოციალური ბარიერის დაძლევაში დაეხმარებიან.

მანდატურის სამსახურის მიერ, კონკურსის პირველ ეტაპზე, შერჩეული 28 კვალიფიციური მუშაკი საქართველოს ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრებში, კერძოდ, თბილისის, კახეთის, ქვემო ქართლის, აჭარა-გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ოფისებში, აპრილიდან განაწილდება. კონკურსის გზით, დამატებით, კიდევ 22 აპლიკანტი შეირჩევა და საბოლოოდ, საქართველოს ყველა რეგიონის ცენტრს ეყოლება სოციალური მუშაკი, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შესაბამის სოციალურ მომსახურებას გაუწევს.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, ეკატერინე დგებუაძემ, მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილე ნინო შატბერაშვილთან ერთად, განათლების სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკებთან შეხვედრა გამართა და მათთან სკოლებში სოციალური ზრუნვის კომპონენტის გაძლიერების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

როგორც ეკატერინე დგებუაძემ აღნიშნა, ზოგადი განათლების სისტემაში სოციალური მუშაკების ინტეგრირება შეამცირებს და აღმოფხვრის საგანმანათლებლო პროცესებში ბავშვების ეფექტიანი ჩართულობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორებს. ამასთან, ისინი აქტიურად ჩაერთვებიან მოზარდების მშობლებთან, მეურვეებთან ან კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაციის პროცესში. კერძოდ, სოციალური მუშაკები, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ცნობიერების ასამაღლებლად, სკოლებსა და ოჯახებში, ბავშვებთან, მათ მშობლებთან, კანონიერ წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან საგანმანათლებლო ხასიათის შეხვედრებსაც გამართავენ.



# სკოლებში ინფიცირების მაჩვენებელი მცირედ გაზრდილია

ქვეყნის მასშტაბით ინფიცირების მატების გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საზოგადოებას კიდევ ერთხელ მიმართავს თხოვნით, ზედმიწევნით დაიცვან ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რათა მოსწავლეებმა სემესტრის დასრულება ბუნებრივ გარემოში, სასკოლო სივრცეში შეძლონ.

სწორედ ინფიცირების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, სკოლებში კიდევ უფრო გამკაცრდა უსაფრთხოებაზე კონტროლი. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ როგორც მოსწავლეები, ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენლები სკოლებში სრულად დაცულები იყვნენ. იმ სკოლებში კი, სადაც ვირუსი ფიქსირდება, სკოლები პროტოკოლის შესაბამისად მოქმედებენ და სკოლის ადმინისტრაცია მყისიერად ახდენს შენობის სრულ დეზინფექციას.

გასულ კვირასთან შედარებით, მიმდინარე კვირაში სკოლებში ინფიცირების მაჩვენებელი მცირედ გაზრდილია, თუმცა შიდა გავრცელება კვლავ არ ფიქსირდება.

კერძოდ, **5-დან 10 აპრილის ჩათვლით, მონიტორინგისა და სავალდებულო ტესტირების შედეგად, ქვეყნის მასშტაბით, ვირუსი მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა 0,2%-ს და მოსწავლეთა 0,04%-ს დაუდასტურდა.**

მშობელთა თხოვნით, ასევე, ვირუსის დადასტურების მიზეზით, ქვეყნის მასშტაბით ამ ეტაპზე სრულ **დისტანციურ სწავლებაზე 43 სკოლა და 174 ცალკეული კლასი იმყოფება.**

ქვეყნის მასშტაბით გაიზარდა რისკ ჯგუფში მყოფი იმ მასწავლებლების რაოდენობა, რომელთაც დისტანციური სწავლების თხოვნით თავად მიმართეს და სკოლის მხრიდან შეღავათი გაეწიათ. ამ ეტაპზე, დისტანციური სწავლების ფორმატში, ქვეყნის მასშტაბით, 98 პედაგოგი იმყოფება.

ამ ეტაპზეც, ვირუსის გამოვლენის შემთხვევებში, სკოლებზე წერტილოვანი შეზღუდვები გავრცელდება. ვირუსის გამოვლენის შემთხვევაში, სკოლები, როგორც წესი, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი პროტოკოლით იმოქმედებენ.

დედა ენის დღე

# „ნეოკორონიზმები“ ანუ კორონული ლექსიკა და ენის ეკოლოგია

„გვირგვინობა“ ანუ ეგრეთ წოდებული „კორონობა“ „ძვირად დაუჯდა“ საქართველოს, ქართველ ხალხსა და ქართულ ენას. უცხო სიტყვები დაამკვიდრა. მივიღეთ, შევისისხლხორცეთ და დავამკვიდრეთ – კლასტერი, ლოქდაუნი, თერმოსკრინინგი, ლოკაცია, საწოლფონდი, კარანტინი, მობილობა, ლეტალური, ვიტალური, ქეისი, ანტივაქსერები, ვაქსერები... ალბათ, ხშირად გსმენიათ კორონავირუსისაგან დაზაფრულ ხალხში (საფუძვლიანადაც!) გავრცელებული ფრაზა – *„კორონა იქ ურტყამს ორგანიზმს, სადაც რაიმე პრობლემაა, სუსტ ადგილს ეძებს“* და ა.შ. დიახ, დიახ, ზუსტად ასე იქცევა კორონა და არა მხოლოდ ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას. ჩვენს ენასაც ბევრი სუსტი ადგილი აღმოაჩნდა და ისე უმტკივნეულოდ, უპრობლემოდ მიიღო და გაითავისა „კორონული“ ლექსიკა, იფიქრებდა კაცი, ასე სიხარულით ლექსიკის გამდიდრებას თუ შეხვდებოდა ენაო... კი, კი, „გავამდიდრეთ ენა“, გავამდიდრეთ ყოველდღე მოსმენილი ამგვარი ფრაზებითა თუ მახინჯი ენობრივი კონსტრუქციებით: *„კორონავირუსის შემთხვევების განულება“, „ინფექციის იმპორტირებული შემთხვევები“, „ქვეყანა შეკავების ფაზიდან გავრცელების ფაზაში გადავიდა“, „მოსალოდნელია ინფიცირებულთა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდადობა“, „გავრცელების პიკის დაბალ ნიშნულზე დაფიქსირება“, „ლეტალური გამოსავლის ალბათობის შემცირება“, „შევეცადოთ მივსდიოთ ჯანსაღი ცხოვრების წესს“, „რა სიმპტომებს უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომელიც მიანიშნების დაავადების რთულ მიმდინარეობაზე“, „დაავადების რა ეტაპზე იწყება ინფიცირებული ადამიანის გადამდებლობა“, „ეს წვეთები მეტისმეტად მძიმეა იმისათვის, რომ დარჩნენ ჰაერში შეწონილ მდგომარეობაში და სწრაფად ვარდებიან იატაკზე ან ზედაპირებზე...“, „პაციენტი შემოვიდა თვითდინებით“, „ქვეყნის მასშტაბით ლოკდაუნი არ იგეგმება“, „ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ აღდგომის დღესასწაულისთვის დამატებითი შეზღუდვების შემოღება არ გახდეს საჭირო“, „ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მაქსიმალურად სწრაფად მოხდეს ადგილობრივი მატების ლოკალიზება“, „ყველას გვესმის, რომ ფართომასშტაბიან შეზღუდვებს ქვეყანა სოციალური და ბიზნესაქტივობების მიზნებისთვის ძალიან რთულად გადაიტანს, ამდენად ძალიან სწრაფად წერტილოვანი რეაგირება მნიშვნელოვანია“, „უზრუნველყავით მოსწავლის მიმართვა ოჯახის ექიმთან!“, ,,დაუყოვნებლად უნდა მოხდეს თქვენი მიმართვა ნერვოპათოლოგთან“, „ფეხების გაწმენდა მოახდინეთ დეზობარიერზე“, „პაციენტები განათავსეს საწოლფონდზე“, „შეიძლება საყოველთაო გავრცელება დაიწყოს“, „თუმცა ჯერჯერობით საყოველთაო გავრცელება არ გვაქვს“, „რეამინაციაში მოათავსეს“, „ნერვოზი მაქვს“, „შიშები დამეწყო“, „წნევები და სიცხეები მაქვს“...*

ეს კი უკვე მეტისმეტია...

გასული საუკუნის 70-იან წლებში კი, საბჭოთა კავშირის ხელისუფლების მიერ, ქართული ენისთვის სახელმწიფო სტატუსის ჩამორთმევის გადაწყვეტილებას მთელი ქვეყანა წინ აღუდგა. მაშინ უმრავლესობა იაზრებდა ენის შეუცვლელ მნიშვნელობას სახელმწიფო საქმიანობის ნებისმიერ სფეროში და მოსახლეობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქართულ ენას ეს მნიშვნელობა არ დაეკარგა. წინ აღვუდექით „სხვას“, მაგრამ დღეს თავადვე ვქმნით იმის სერიოზულ წინაპირობას, რომ ჩვენი ენა უცხო და ზედმეტ სიტყვათა კრებულს წარმოადგენს...

ხშირად ამბობენ, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება და ზედმეტი სიტყვებით ივსება. ძალიან ბუნებრივია, რომ ნებისმიერი ახალი საგნისა თუ მოვლენის აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი სიტყვის დამკვიდრებაა საჭირო. არაფერია საოცარი იმაში, რომ ენის გამდიდრებისა თუ განვითარებისთვის, ზოგჯერ, სხვა ენიდან რაღაცის აღება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაცაა აუცილებელი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ასეთ დროს სიფრთხილე გვმართებს.

ენაში სიახლის შემოტანა გამართლებულია – საზოგადოება დროსა და სივრცეში იცვლება და სამეტყველო ენაც მასთან ერთად უნდა შეიცვალოს, მაგრამ განვითარება არ ამართლებს არსებულის უარყოფას – როდესაც ენაში არსებული სიტყვის მაგივრად უცხოურიდან შემოსული ანალოგი მკვიდრდება, გაუმართლებელია. წალეკა ენა ბარბარიზმებმა.

ბარბარიზმების მნიშვნელოვანი წყაროა სხვადასხვა წარმომავლობის ტრენინგები, რომლებსაც უტარებენ მასწავლებლებს, ბანკირებს, ეკონომისტებს თუ სხვა სფეროს წარმომადგენლებს. ეს ტრენინგები ძირითადად ინგლისურენოვან მასალას ეფუძნება და სავსეა ბარბარიზმებით. ინტერნეტში სხვადასხვა ტრენინგის პროგრამების შეთვალიერებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ ბარბარიზმების ეს წყარო მთელი სერიოზულობით დავინახოთ. საჭიროა გარკვეული წესების შემოღება, რაც ტრენინგის ჩამტარებელს დაავალდებულებს დაამუშაოს სათანადო ტერმინოლოგია, სანამ ამგვარი სასწავლო თუ გადამზადების კურსების ჩატარების უფლებას მოიპოვებს. ბარბარიზმებითა და მცდარი ფორმებით გაძეძგილი მათი ლექსიკონის საყოველთაოდ დამკვიდრება ენას კარგს არაფერს მოუტანს.

სახელმწიფო ენის ნორმები, ბეჭდური სახით გამოცემული და პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის მიერ დამტკიცებული რომ იქნება, მერე უკვე ყველას მოსთხოვ ამ ნორმების დაცვას. ახლა კი კეთილ ნებაზეა მიშვებული საქმე. ვისაც რა უნდა, იმას წერს და კითხულობს.

ცუდია, რომ ენობრივი პოლიტიკა აღარ არსებობს საქართველოში. რამდენი ხანია აღარ გამოცემულა ქართული ენის განახლებული ნორმები, რომელთა დაცვაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. დაცვა კი არა, სახელმწიფო სტრუქტურა გამალებული ამკვიდრებს ქართული ენისათვის შეუფერებელ ფორმებს და კაცი არაა გამკითხავი. ასეთი „ფეხებზე მკიდია“ დამოკიდებულება იმ ბნელ კომუნისტურ ეპოქაში არ იყო სახელმწიფო ენის მიმართ. ტელევიზიებსა და საინფორმაციო სააგენტოებში რა ენითაც საუბრობენ, ის მკვიდრდება.

ყველა ერთად ვცოდავთ ამ მხრივ. რუსი აფიცერი მახსენდება „მგზავრის წერილებიდან“, ილიას მდაბიური და განათლებული მეტყველების ნიუანსებს რომ „უხსნის“. ნუ დავემსგავსებით იმ აფიცერს, როცა „თერმოსკრინინგს“ ვიყენებთ სიცხის გაზომვის ნაცვლად, აქაოდა, „მდაბიურიაო“, „ლოქდაუნს“ სრული ჩაკეტვის, საყოველთაო შეზღუდვების ნაცვლად, „გაიდლაინს“ სახელმძღვანელო პრინციპის, მითითების, რეკომენდაციის ნაცვლად და ა.შ.

დაბოლოს, ყველა სახელმწიფო უწყება თუ არასამთავრობო ორგანიზაცია გამალებით ამკვიდრებს ბარბარიზმებს და გაუგონარ ენობრივ ფორმებს. შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ არსებობს **არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ასევე, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი,** სადაც კვალიფიციურ რჩევებს მიიღებთ ამა თუ იმ ტერმინისა და ენობრივი ფორმის შესახებ. ყველაფერში კომპეტენტური ვერ იქნები და საქმის მცოდნეთათვის კითხვის დასმა სამარცხვინო საქციელი არ არის! „გონიერსა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდესო“ (დიახ, „მწვრთელი“ რუსთველის მიხედვით და არა „ქოუჩი“). რა დროს ესაა ამ პანდემიაშიო, იტყვიან, მაგრამ რას ვიზამთ! ენის სპეციალისტები ასეთ დროსაც „ჩვენ ჩვენსას ვტირით“. ქართველების უსაყვარლესმა მწერალმა, ოტია იოსელიანმა თქვა ერთხელ – ამ ენაზე შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა და თქვენ საბჟუტუროდ არ გყოფნითო?! ჰოდა, თუ მაინცდამაინც „ბჟუტური“ გინდათ, ქართულად „ვიბჟუტუროთ“!

**ლია გოგოხია**
*ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი*

**ლეილა ხონელიძე**
*ილია ჭავჭავაძის სახელობის ფოთის მე-5 საჯარო სკოლის მასწავლებელი*

შემოქმედებითი აქტივობა

# „იმედის“ აღსაზრდელთა მორიგი წარმატება

ბავშვთა საესტრადო ანსამბლ „იმედში“, არსებობის 40 წლის განმავლობაში, უამრავი ნიჭიერი პატარა გაიზარდა. მისი უცვლელი ხელმძღვანელია კომპოზიტორი ნიკოლოზ თითირაშვილი. უამრავი სოლო კონცერტი, გასტროლი, სატელევიზიო პროექტებში მონაწილეობა, საერთაშორისო კონკურსები, ფესტივალები, საქველმოქმედო კონცერტებია ანსამბლის მეხსიერებაში, რომელიც ყოველთვის მსმენელის სიხარულსა და დადებით ემოციებს იწვევდა. ერთ-ერთი საქველმოქმედო კონცერტის შემდეგ, ბატონ ნიკოლოზთან დიდი მოწიწებით მოვიდა აფხაზეთიდან ლტოლვილი ქალბატონი ნანი ნინუა, რომელმაც გვთხოვა მისი შვილისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვისთვის (ცერებრალური დამბლა, ნისტაგმი), 7 წლის ბაგრატ შარიასთვის მოგვესმინა. მას მუსიკალური სმენა აღმოაჩნდა. დაიწყო სირთულეებით აღსავსე, მაგრამ მიზანსწრაფული, დაუღალავი შრომის პერიოდი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა მისი მუსიკალური მონაცემების განვითარება, სიმღერების შესწავლა. გახარებულმა დედამ ლამაზ უბის წიგნაკში ავტოგრაფის ჩაწერა გვთხოვა, რომლის ყოველი ფურცელი დიდი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებით იყო შემკული. ამიტომ, ვერ ვაკადრეთ სურვილების თხრობითი წინადადებებით ჩაწერა და ჩვენი სურვილები პედაგოგმა, მარიამ სიფრაშვილმა ლექსად აკინძა. ბაგრატმა ლექსი ზეპირად ისწავლა და აფხაზეთში ყველას უკითხავდა. იგი ხომ აფხაზეთს, სამკურნალო ვიზით, ყოველ ზაფხულს სტუმრობდა. შემსუბუქებული რეგულაციების გამო, განახლებული რეპეტიციების დროს კი, კომპოზიტორმა ნიკოლოზ თითირაშვილმა და გაორკესტრების ავტორმა ჯონი თითირაშვილმა, ამ ლექსის მიხედვით, შექმნეს სიმღერა „აფხაზეთს“, რომელსაც წინ უძღვის აფხაზი მწერლის ლექსი – აფხაზურ ენაზე. მას ფონად დაედო ვიდეომასალა აფხაზეთის შესახებ, რომელიც დაამუშავა ჯანო თითირაშვილმა.



3 აპრილს, მცხეთის კულტურის ცენტრში (მკაცრი რეგულაციების დაცვით), შედგა ბაგრატის სასცენო ნათლობა და სიმღერის „აფხაზეთს“ პრემიერა. *„ბაგრატს ოცნება აუხდა – მან სცენაზე იმღერა, თვალცრემლიანი გულშემატკივრები ფეხზე ადგომით უკრავდნენ ტაშს, ემოციებს ვერ მალავდნენ. კულისებიდან ბაგრატს წარმატებას ულოცავდნენ მისი პატარა მეგობრები: სალომე თითირაშვილი, ანა-მარია და ემილია ეხვაიები, დეა და სოლომონ გერლიანები, ნატალი მდინარიძე, რომელთაც ასევე დიდი წარმატებით შეასრულეს სოლო სიმღერები.“* იმ დღეს კიდევ ერთი სასცენო ნათლობა ჰქონდა 3 წლის ემილია ეხვაიას, ნუნუ გაბუნიას სიმღერით „თუ რომელი უფრო მიყვარს“. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ასაკიდან იწყება „იმედის“ საესტრადო სტუდიაში პატარების მიღება, რადგან ადრეული ასაკიდან სწორად აღზრდა და მუსიკალურად განვითარება გაცილებით უკეთეს შედეგს იძლევა – ასე მიაჩნია ნიკოლოზ თითირაშვილს; ასეთი პატარები, 3-4 წლისანი მოვიდნენ სტუდიაში სალომე, ანა-მარია, ნატალი და დეა.

პანდემიის გამო გამოცხადებულ მკაცრ რეგულაციებს ჩვენც დავემორჩილეთ და მთელი წლით შევწყვიტეთ რეპეტიციები. იყო მონატრების ზარები, შეხვედრის მოლოდინი, მაგრამ ეს პერიოდი შემოქმედებისთვის აქტიური აღმოჩნდა: კომპოზიტორ ნიკოლოზ თითირაშვილის მუსიკა, მარიამ სიფრაშვილის ლექსი, ჯონის არანჟირება, ჯანოს ტექნიკური უზრუნველყოფა და ქორეოგრაფია – ერთი სიტყვით, მთელი ოჯახი შემოქმედებით აქტივობაში ჩაერთო. დაისახა ახალი პროექტები, ონლაინ კონტაქტები.

რეგულაციების შემსუბუქებისთანავე განახლდა პატარებთან ინდივიდუალური მუშაობა. შევასწავლეთ ახალი სოლო სიმღერები. ყველას განსაკუთრებით მოეწონა „სამყარო ჩვენია“, ამიტომ ეს სიმღერა ხმებში გავშალეთ – ასე დაიბადა კვარტეტი „ SAND“ (S – სალომე, A – ანა-მარია, N – ნატალი, D – დეა). იტალიაში გამოცხადებულ ონლაინ კონკურსზე „Liberta Creativa “, მარტის ბოლოს, სოლო და კვარტეტის მიერ ცოცხალი შესრულების ჩანაწერები გავაგზავნეთ უმცროს ასაკობრივ კატეგორიაში (5-7წ). და მოუთმენლად ველოდით შედეგს, რომელსაც ქულებით აფასებდა 27 ქვეყნიდან შერჩეული ჟიურის 49 წევრი, მათ შორის საქართველოდან – ნიკოლოზ თითირაშვილი. 27 ქვეყნის მონაწილეები სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში იყვნენ გადანაწილებული და სრულიად სხვა კატეგორიებს აფასებდნენ. საინტერესო იყო, რომ ჟიურის ეგზავნებოდა მხოლოდ ბავშვის ასაკი და სიმღერის ცოცხალი ჩანაწერი, სადაც არ იყო მითითებული ქვეყანა. და აი, 7 აპრილს მოვიდა ონლაინ პასუხები (ქულებით), რამაც ძალიან გაგვახარა – 5 წლის დეა გელიანმა, სახალისო სიმღერით მულტფილმიდან „მაშა და დათვი“ (ინგლისურ ენაზე) 87,8 ქულა დაიმსახურა, III ადგილი და ლაურეატის წოდება მიიღო; 6 წლის ანა-მარია ეხვაიამ, რევაზ ლაღიძის „თბილისოს“რემიქსული ვარიანტით – 89,6 ქულით, III ადგილი დაიმსახურა; 5 წლის ნატალი მდინარიძე, საავტორო „ფოლკის“ სტილის სიმღერით „თბილისური“, 90,4 ქულით, II ადგილზე გავიდა.

განსაკუთრებით გაგვახარა კვარტეტის „SAND“ შედეგმა – 98 ქულა და გრან-პრი. ემოციებს ველარ ვიკავებდით, დიდი სიხარულით ვულოცავდით ერთმანეთს. ყველამ გავიხარეთ სწორედ „ხარების“ წმინდა დღეს.

ღმერთმა გვიმრავლოს ნიჭიერი პატარები.

**მარიამ სიფრაშვილი**

კვალი ნათელი

# ღვაწლით დაქნილი გზა

*„რამდენი ჩვენგან წასული კაცის*
*ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს“...*

გივი ცინცაძემ საინტერესო და შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე მოსწავლეთა მთელი პლეადა გამოზარდა და კოორდინაციული ქიმიის ქართულ სკოლას ჩაუყარა საფუძველი. როცა მკვლევარი თავის ქვეყანაში რაიმე მეცნიერულ მიმართულებას, მეცნიერულ სფეროს ჩაუყრის საძირკველს, ეს უკვე უკვდავებაა მისი. 40 დღის წინ ვალმოხდილი მეცნიერი უკვდავებისა და ლეგენდად ქცევის გზას დაადგა.

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გივი ცინცაძე იყო საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, შევჩენკოს სახელობის უკრაინის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი; იყო ღირსების ორდენის კავალერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის და გიორგი ნიკოლაძის მედლის, ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის ვერცხლის მედლისა და მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების მედლის – „მეცნიერებაში მიღწეული წარმატებისათვის“ მფლობელი – მისი მიღწევებისა და რეგალიების ეს არასრული ჩამონათვალი მეცნიერის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მნიშვნელობის აღიარების დასტურია.

უაღრესად ფართო და მასშტაბურია გივი ცინცაძის მეცნიერული მოღვაწეობის დიაპაზონი. იგი ცნობილია არაორგანული, კოორდინაციული და სტრუქტურული ქიმიის, კრისტალოქიმიის, სპექტროქიმიის, კვანტური ქიმიის, ქიმიის ისტორიის სფეროში შესრულებული სამუშაოებით. მეცნიერი 25 მონოგრაფიის, 45 სახელმძღვანელოს, 17 საავტორო მოწმობისა და შვიდ ასეულზე მეტი სტატიის ავტორია. ფართოა მისი სამეცნიერო ნაშრომების ციტირების არეალი.

ფართომასშტაბიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან ერთად, აკადემიკოსი ნაყოფიერ სასწავლო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი ავტორობით შექმნილი სახელმძღვანელოები სტუდენტთა და სპეციალისტთა სამაგიდო წიგნებად იქცა. გივი ცინცაძის ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით დაიწერა ქიმიის სახელმძღვანელოები საშუალო სკოლის VII-XI კლასებისათვის, აგრეთვე, ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული VII-XI კლასებისათვის, რომლებიც რამდენჯერმე გამოიცა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გივი ცინცაძის ღვაწლი სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. მეცნიერმა აღზარდა ქიმიკოსთა მთელი პლეადა. მისი მოსწავლეები, რომელთა რიცხვი სამოცდაათს აღემატება, ნაყოფიერად მოღვაწეობენ მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებში. მეცნიერ-მოწაფეთა „გეოგრაფია“ თუ „რუკა“ თვით ახალ ზელანდიამდეა განვრცობილი. „ინტერნაციონალური სულისკვეთების“ მასწავლებელს არაერთი კოლეგა, თანაავტორი თუ მოწაფე ჰყავდა. მისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ნაშრომები შესულია კოორდინაციული ქიმიის ოქროს ფონდში. კოორდინაციული ქიმიის გამოჩენილი მკვლევარი ამ დარგში ქართული მეცნიერული სკოლის დამაარსებელია.

⇨ *„გამორჩეულ ადამიანებზე საუბრისას, მათ ცხოვრებას ორ პარალელურ სიბრტყეზე განიხილავენ – მოღვაწეობა და ქრონოლოგიურ თარიღებში მოქცეული ბიოგრაფია. გარშემომყოფთა სიყვარულს და პატივისცემას ყველაზე მეტად ის განსაზღვრავს, რაც ამ ორ სიბრტყეს აერთიანებს – პიროვნული თვისებები. თავდაუზოგავად მშრომელი, კორექტული, მიზანმიმართული, საქმის ერთგული, შორს გამხედი – ასეთი გახლდათ გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ახალგაზრდა მკვლევართა და სპეციალისტთა მრავალი თაობის ღირსეული აღმზრდელი, აკადემიკოსი გივი ცინცაძე.“*

⇨ *„გივი ცინცაძე იყო ადამიანი, რომლის ცხოვრება ქვეყნისა და მეცნიერების უანგარო მსახურების მაგალითია.“*

⇨ *„იგი იყო ერუდირებული, უდიდესი კულტურისა და შრომის უნარის მქონე მეცნიერი.“*

⇨ *„იყო ფართო დიაპაზონის თეორეტიკოსი და ექსპერიმენტატორი.“*

⇨ *„იყო მოქალაქე, ამ სიტყვის ძველი ბერძნული გაგებით, ადამიანური ღირსებისა და სულიერი სიმამაცის ნათელი მაგალითით.“*

⇨ *„ჰქონდა მადლიერების საოცარი გრძნობა, იყო თბილი და ყურადღებიანი – ბატონ გივის არაერთხელ გავუგზავნივარ რუსთაველის მეტროსთან მარტოობაში მცხოვრებ თავის ქართულის მასწავლებელთან კონვერტით, სადაც მისი სტატიების თუ წიგნების ჰონორარი იდო. არა მარტო ქიმიის, სხვებზე ზრუნვის საოცარ გაკვეთილს გვიტარებდა შეფარვით...“*

⇨ *„მას ჰქონდა უნიკალური უნარი, წინასწარ, 2-3 სვლით ადრე განეჭვრიტა არა მარტო მეცნიერული კვლევის შედეგები, არამედ წმინდა ადამიანური ცხოვრებისეული წინააღმდეგობანი.“*

⇨ *„ერთხელ ბატონ გივის ვკითხე – ეს როგორ გავაკეთო მეთქი? – როგორც გინდა, ოღონდ ლამაზად გააკეთეო – მიპასუხა. იგი ყოველთვის ამ პრინციპით მოქმედებდა – ლამაზად კეთების პრინციპით.“*

⇨ *„ჩვენთან – მოსწავლეებთან, რომლებიც ამავე დროს მისი შრომების თანაავტორები ვიყავით, მისი ყოველი შეხვედრა*



*ემოციური აღტაცების თანმხლები იყო, განსაცვიფრებელი იყო მისი მოუღლელობა, უზარმაზარი შრომისმოყვარეობა, ყოველგვარ პირობებში მუშაობის უნარი, იგი გამოირჩეოდა თავისებური მდიდრული იუმორით, რაც განსაკუთრებული ნიჭიერების ელემენტია.“*

⇨ *„ბატონი გივი ჩემი და არა მხოლოდ ჩემი, ათეულობით ადამიანის ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი შტრიხების ავტორი, საოცარი ადამიანი და პიროვნება იყო.“*

⇨ *„ბატონი გივი თავის ყველაზე ღირსეულ დაფასებად ჩათვლიდა იმას, თუ მის სამეცნიერო მემკვიდრეობას მაღალ დონეზე გავაგრძელებთ მისი მოსწავლეები.“*

⇨ *„ტკივილიანი იყო ბატონი გივის გარდაცვალება. ასეთი ადამიანები ერის სიძლიერეა და „მისი ღვაწლით დაქნილი გზა“ მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო ქვეყანას.“*

დაუსრულებლად შეიძლება მსგავსი ამონარიდების ამოღება გივი ცინცაძის მოსწავლე-მეცნიერთა წერილებიდან და ჩანაწერებიდან...

*„რამდენი ჩვენგან წასული კაცის ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს“...* რაოდენ სამწუხაროა, რომ მიხეილ ქვლივიძის ეს სტრიქონები გივი ცინცაძის გასახსენებელ და სამადლობელ წერილს ეპილოგად წინ წავუმძღვარეთ.

***მადლიერი მოსწავლეები***

## ახალი პროექტები პროფესიული განათლების მიმართულებით

პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, საქართველოს რეგიონებში, პროფესიული კოლეჯების საჭიროებების შესწავლა გრძელდება.

მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი თვითმმართველობებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც ადგილზე აფასებენ იმ პროფესიების საჭიროებებს, რომლებიც რეგიონში ყველაზე მოთხოვნადია.

ამ მიზნით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, თამარ ქიტიაშვილმა, იმერეთის გუბერნატორთან, მაჟორიტარ დეპუტატთან, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, ბაღდათში, კოლეჯ „იბერიას“ სასწავლო ბაზა დაათვალიერა, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებისა და პედაგოგებისგან მოისმინა.

სამოქმედო გეგმაში, რომელიც მომავალში კოლეჯს კიდევ უფრო მეტი განვითარების შესაძლებლობას მისცემს, სამინისტროსთან ერთად, ყველა მხარე აქტიურად ჩაერთვება. ეს ხელს შეუწყობს როგორც კოლეჯის პროგრამულ განვითარებას, ასევე ბიზნესთან თანამშრომლობასა და კურსდამთავრებულთა დასაქმებას, რაც საბოლოოდ, რეგიონის ეკონომიკაზე დადებითად აისახება.

ეკონომიკური განვითარებისთვის, იმერეთის რეგიონში, ბაღდათის სასწავლო ბაზის მოკლე და გრძელვადიანი განვითარების გეგმის შემუშავებას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება. პროგრამები ისეთი მიმართულებებით ინერგება, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ავტომობილის მომსახურება, ინჟინერია და სხვ. ასევე, გეგმაშია ამ მიმართულებებით მოკლევადიანი პროგრამების განხორციელება.

პროფესიული განათლება სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად, სამინისტროს მხრიდან, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება პროფესიული კოლეჯების რეგიონული სასწავლო ბაზების განვითარებას კერძო სექტორის აქტიური ჩართულობით, რათა, ერთი მხრივ, პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი გახდეს საქართველოს ყველა რეგიონსა თუ მუნიციპალიტეტში, მეორე მხრივ კი, კერძო სექტორის აქტიური ჩართულობით, რაც შეიძლება მეტი კურსდამთავრებული დასაქმდეს.

## სამმხრივი პარტნიორობის შედეგი

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში ღასან ხალილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ეკა დგებუაძე, ნორვეგიის ელჩი ჰელენ სანდ ანდრესენი და ესტონეთის ელჩი რიინა კალიურანდი, სამუშაო ვიზიტით, აჭარის რეგიონში იმყოფებოდნენ.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, ესტონეთის მთავრობისა და გაეროს ბავშვთა ფონდის პარტნიორული საგანმანათლებლო პროექტის გაცნობითი შეხვედრა გაიმართა.

სამმხრივი თანამშრომლობის მიზანია განათლების სისტემაში მომუშავე პერსონალის გადამზადება ონლაინ სწავლა-სწავლების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.

მახუნცეთის საჯარო სკოლა ერთ-ერთია იმ 100 სკოლიდან, სადაც მასწავლებლები, პროექტის ფარგლებში, სწავლა-სწავლების ინოვაციურ მეთოდებში გადამზადდებიან.

ეკა დგებუაძე: *„შევხვდით მასწავლებლებს, მოვისმინეთ მათი ხედვა, მათი დამოკიდებულება, გამოწვევები. ვისაუბრეთ იმ წარმატებულ ნაბიჯებზე, რომელიც ესტონური პროექტის ფარგლებში გადაიდგა, ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესზე. ვფიქრობ, ეტაპობრივად, სკოლები შეძლებენ, შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო და თითოეული მოსწავლე მისი საჭიროებებიდან გამომდინარე იყოს დანახული.“*

პარტნიორული საგანმანათლებლო პროგრამა განათლების ხარისხის გაუმჯობესებას მასწავლებლების ადგილზე გადამზადების გზით განახორციელებს. პროექტს მოსწავლეებიც დადებითად აფასებენ. მახუნცეთის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე სალომე ბოლქვაძე ამბობს: *„ჩვენი მასწავლებლები რომ გადამზადდებიან, რა თქმა უნდა, კარგი იქნება იმიტომ, რომ მეტი ახალი იდეები ექნებათ და განსხვავებულ, ახალ-ახალ მასალას მოგვაწვდიან.“*

რიინა კალიურანდმა განაცხადა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება, გაეროს ბავშვთა ფონდსა და ესტონეთის საელჩოს, ესტონეთის მთავრობას შორის თანამშრომლობით, 2014 წელს დაწყებული პროექტი ჯერ არ დაასრულონ: *„გადავწყვიტეთ, რომ კიდევ უფრო განვავითაროთ და გადავიდეთ მასწავლებლების გადამზადებაზე, ტრენინგებზე, რათა მათ მიღებული ცოდნა და ახალი მოდელი საქართველოს 100 სკოლაში გაავრცელონ. ძალიან სასიამოვნო იყო იმ 30 სკოლის დირექტორებთან შეხვედრა, რომელიც ამ პროექტში მონაწილეობისთვის აჭარაში შეირჩა.“*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, მაია ხაჯიშვილის შეფასებით, პროექტი, რომელიც გულისხმობს ესტონური მოდელის გამოცდილების გაზიარებას, ექსპერტების ჩართულობას, ადგილზე ქოუჩინგსა და მიღებული გამოცდილების სკოლებში დანერგვას, მიმართულია თითოეული მოსწავლისთვის საუკეთესო გარემოს შექმნაზე სასწავლო პროცესში.

ღასან ხალილი: *„ჩვენ ვეწვიეთ მახუნცეთის სკოლას, ვესაუბრეთ ბავშვებს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ინტერაქტიული სწავლის მეთოდის მნიშვნელობაში. სამმხრივი პარტნიორობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ესტონეთის მთავრობას და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის, ხელშესახებ შედეგებს აღწევს.“*



# BIRRƏQƏMLI ƏDƏDIN IKIRƏQƏMLI ƏDƏDƏ VURULMASI

**Sinif:** 3
**İstiqamət:** Qanunauyğunluq və cəbr
**Vaxt:** 10 saat
**Kompleks tapşırıq:** Skamın 3, masanın 4 ayağı var. Hamısının birlikdə 64 ayağı var. Bir skam 12 lari, Bir masa isə 64 lari olarsa, 650 lariyə neçə skam və masa almaq olar?
**Əsas suallar:**
- Onların artıq pulları qalacaqmı?
- Əgəq qalmasını istəsəniz, hansını almaq daha əlverişlidir?

**Təqdimat zamanı nəzərə almağa çalışın:** məsələni həll edərkən cədvəl və yaxud hansı sxemlərdən istifadə etmək daha əlverişlidir? Tərtib etdiyiniz cədvəlləri necə doldurmaq lazımdır? Məktəbin yeməkxanasında olan skam və stulları sayın.
**Tədqiqat sualı:** Birrəqəmli ədədin ikirəqəmli ədədə vurulması.
**Əvvəlki bilik:** ikirəqəmli və birrəqəmli ədədləri bilir və mərtəbə vahidlərinə ayıra bilir. Natural ədədlərinin toplanması və çıxılmasını bilir, birrəqəmli ədədin birrəqəmli ədədə vurulmasını bilir. Vurmanın xassələrini bilir. Paylaşma qanunundan xəbərdardır.
**Əsas suallar:**
- Necə düşünürsüz, birrəqəmli ədədi ikirəqəmli ədədə vurmaq üçün vurmanın xassələrindən necə istifadə edərdiz?
- Verilmiş məsələni həll etmək üçün məişətdə necə istifadə edərdiz? Yəni hansı məişət əşyalarının köməyi ilə məsələnin həllini yüngülləşdirərdiz?
- Problemi həll etmək üçün cədvəldən necə istifadə edərdiz?

**Kompleks tapşırığın inkişaf mərhələləri ( fəallıqlar və resurslar)**

**ETAP I:** Şagirdlər üçün kompleks ev tapşırığına giriş.
**Əsas suallar:**
- Nə öyrənirik?
- Öyrəndiyimi necə sübüt etməliyəm?

**AKTIVLIKLƏR:**



1. Qazin iki ,inəyin isə 4 ayağı var. Hansının daha çox ayağı var? 3 qazın və 6 inəyin neçə ayağı var?



2. İkinci şəkildə 9 qaz və 6 inək var. Cəmi neçə ayaq var? Qazların və inəklərin ayrılıqda cəmi neçə ayaqları var? Hansının daha çoxdur?
3. **Cavab verin:** 4 inək, 7 ördək və 6 dovşanın birlikdə neçə ayağı var?
4x4+7x2+6x4=
Bu ifadə nəyi izah edir?
4. Nəzərə alaq ki,bir fəhlə bir gündə 15 detal hazırlayır.2,4,6,8,10 günə neçə detal hazırlayar?

| Gün | detal |
|---|---|
| 1 | 15 |
| 2 | |
| 4 | |
| 6 | |
| 8 | |
| 10 | |

**ETAP II**
**Şagirdlərə çətin məsələnin izahı**
**Əsas sual:**
- Yuxarıdakı məsələləri həll edərkən hansı üsullardan istifadə etdiniz?
- Təqribən neçə üsuldan istifadə etdiniz?
- Hansı üsul daha asan idi?
- Əvvəlcədən öyrədilmiş hansı mövzu və mövzular kompleks tapşırığı yerinə yetirməyə kömək edəcək?

**AKTİVLİKLƏR**:
1. Böcək 5 gün uçdu və verilmiş sxemə əsasən tapın 1 gündə neçə kilometr uçdu və beşinci gün neçə kilometr yol getdi?

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 10km | | 20km | |

Verilmiş sxemə nəzər yetirin və həll edin ki, neçə kilometr yol getdi?
2. Verilmiş cədvəli doldurun:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| a | 15 | 3 | | 15 | |
| b | | 45 | 5 | 8 | 9 |
| a.b | 30 | | 75 | | 144 |

**I. Məktəbin yeməkxanasında 6 nəfərlik və 4 nəfərlik masalar var. Yeməkxanada cəmi 8 masa var. Məktəbin yeməkxanasınaneçə şagird yerləşər?**
a) Yeməkxanaya neçə nəfər yerləşir?
b) Əgər 8 masa varsa, neçəsi 6 nəfərlik, neçəsi 4 nəfərlik ola bilər?

**II. Bir uşaq bir həftədə 1 qutu yemək yeyir. Uşaq 3 ay ərzində neçə qutu yemək yeyər?**
a) 1 ayda neçə həftə var?
b) Üç ayda neçə həftə var?
c) Uşaq bir ay ərzində neçə qutu yeyər?
d) Üç ay ərzində neçə qutu yemək yeyər?

**III. Qarşı-qarşıya iki motosikletçi yola çıxdı. Birinci 15km/saat, ikinci 20km/saatdır. Onlar 2 saatdan sonra görüşdülər. İki şəhər arasında məsafə nə qədərdir?**
- 3 saatdan sonra gğrüşsələr
- 4 saatdan sonra görüşsələr
- 5 saatdan sonra görüşsələr şəhərlər arasındakı məsafəni tapın

**IV. Hesablayın**
(15+5)x 6=

**V.Vuruqları cəm şəklində yazın:**
17x8=

**VI.Hesablayın:**
7x(6+6)=

**VII. Cəm çəklində yazın:**
8x14=

**VIII. Bir qutuda 10 yumurta var. Cəmi 7 qutu var. Sonra hər qutuya 4 yumurta artırdılar. Cəmi neçə yumurta oldu? Əvvəlcə neçə yumurta vardı? Sonra cəmi neçə yumurta əlavə etdilər? Sonunda cəmi neçə yumurta oldu?**

**ETAP III**
Yeni materialların izahı. Çətin və mürəkkəb məsələlərin həlli. Şagirdlər ev tapşırıqlarını müəllimlə birlikdə işləyirlər.
**Əsas suallar:**
- Ilk olaraq məsələni oxuduqda nə başa düçürsüz?
- Əvvəlki məsələlərə oxşarlığı və fərqi nədədir?
- Verilmiş məsələləri necə həll edəcəksiniz?
- Transfer - verilmiş məsələlərin həllində həyata necə tətbiq edə bilərsiz?
- Prezentasiya - Necə təqdimat etməliyik ki,dinləyicilər üçün maraqlı olsun.

**AKTİVLİKLƏR**
**1. Şagirdlərə 13ü 8 ə vurmağı xahiş edirəm. Onlardan necə həll etdiklərini soruşuram. Hansı yollardan istifadə etdiklərini izah edirlər.**
**Onlar izah edirlər. Hasilin cəm şəklində yazılmasından və paylama qanunundan istifadə etdiklərini söyləyirlər.**
**2. Yuxardakı tapşırıqlara oxşar misallar verirəm: 32x4. Bu misala aid suallar verirəm. Eyni zamanda bir neçə belə misallar verirəm vəçalışıram ki, şagirdlərin hamısı fəal iştirak etsinlər. Onlara istiqamət verirəm ki, ikirəqəmli ədədləri birrəqəmli ədədə vurulması qaydasını özləri izah etsinlər.**
**3. Köhnə körpünün uzunluğu 47 km, yeni körpü isə ondan 6 dəfə böyükdür.yeni körpünün uzunluğu nə qədərdir?**
**4. Bir qutunun qiyməti 15 laridir. Qutuda 12 fincan varsa, 3 qutu neçə edər və cəmi neçə fincan olar?**
**5.Verilmiş əməlləri yerinə yetirərək sözü tapın. Ədədləri artan sıra ilə düzün:**




**IX.Uşaqları qrupa ayırıram. Verilmiş ədədləri hesablayın.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | x | | = | 84 |
| | x | | = | 49 |
| | x | | = | 73 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | x | | = | 96 |
| | x | | = | 84 |
| | X | | = | 78 |

**ETAP IV**
**Keçirilmiş materialların təkrarı və möhkəmləndirilməsi.**
**Əsas sual:** Siz yuxarıdakı tapşırıqları yerinə yetirərkən nə kimi çətinliklərlə üzləşdiniz?

**AKTİVLİKLƏR**
1. Muzeyə fevral ayında 44 şagird getmişdir. Mart ayında isə bundan 3 dəfə çox şagird getmişdir. Mart ayında neçə şagird getmişdir? Hər iki ayda cəmi neçə şagird getmişdir?
- Bu məsələdə nə məlumdur?
- Nəyi tapmalıyıq?
- Bu məsələnin hasand variantını düzəldin?
- Bu məsələnin çətin variantını düzəldin.
- Bu məsələni elə düzəldin ki, gündəlik həyatımıza uyğun gəlsin.

2. Tea mağazadan 27 lariyə köynək aldı. Eyni zamanda gödəkcə də aldı. Gödəkcə köynəkdən 3 dəfə baha olarsa, 150 lari köynək və gödəkcə almağa çatarmı? Satıcı Teaya neçə lari qaytarar?

## კომპლექსური დავალება

**3. Verilmiş cədvəli izah edin və sizin üçün yazılmış sözü tapın:**

| | | |
|---|---|---|
| 30 | 15x2 | Ə |
| 66 | 22x3 | K |
| 90 | 30x3 | Ü |
| 150 | 50x3 | Ə |
| 160 | 40x4 | R |
| 70 | 35x2 | K |

| | | |
|---|---|---|
| 54 | 18x3 | Ş |
| 24 | 12x2 | T |
| 165 | 55x3 | ! |
| 100 | 25x4 | R |
| 128 | 32x4 | L |
| 60 | 20x3 | Ə |

| 24 | 30 | 54 | 60 | 66 | 70 | 90 | 100 | 128 | 150 | 160 | 165 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | |



**hazirladilar qardabani şəhəri 3 saylı Azərbaycan məktəbinin müəllimi SEVDA ŞAHVERDIYEVA**

**სევდა შახვერდიევა**
*გარდაბნის №3 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი*

## უცხოური ამბები

# როგორი იქნება განათლების სისტემა 20 წელიწადში

კოვიდ-19-ის პანდემია გვაჩვენებს, რომ განათლების მომავალი თავისთავად არ აეწყობა.

სამომავლოდ, განათლებასთან დაკავშირებული ალტერნატიული ვარიანტების წარმოდგენით, შეგვიძლია, უკეთ გავიაზროთ შედეგები, შევიმუშაოთ მოქნილი სისტემები და მზად შევხვდეთ მოსალოდნელ რყევებს.

როგორია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მოსაზრებები სწავლების მომავალზე? როგორ გარდავქმნათ საგანმანთლებლო სისტემები მომავლის გამოწვევებთან გასამკლავებლად?

ადამიანები მომავალზე ფიქრისას, ტრადიციულად, თვალს გადაავლებენ წარსულს, რათა ხვალინდელი დღე უკეთ წარმოიდგინონ და დაგეგმონ. მაგრამ მომავალი ხშირად მოულოდნელ ცვლილებებს გვთავაზობს. ბიზნესისთვის გახსნილი სკოლები, მასწავლებლები, რომლებიც ციფრულ ტექნოლოგიებს ტრადიციული სწავლების ჩასანაცვლებლად კი არა, გასაფართოებლად იყენებენ, ჯგუფებად დაყოფილი სტუდენტები აუდიტორიებში – სწავლების ეს დამკვიდრებული ფორმა 2020 წლის პირველ თვეებში თითქოს ჩვენ თვალწინ გაუჩინარდა.

ჩვენი ხედვების განხორციელებისა და საგანმანათლებლო სისტემის მომავლისთვის მოსამზადებლად მხოლოდ მოსალოდნელი ცვლილებების განხილვა არ კმარა; უნდა გავითვალისწინოთ მოულოდნელად წამოჭრილი პრობლემებიც. სამომავლოდ განათლებასთან დაკავშირებული ალტერნატიული ვარიანტების წარმოდგენით შეგვიძლია, უკეთ გავიაზროთ შედეგები, შევიმუშაოთ მოქნილი სისტემები და მზად შევხვდეთ მოსალოდნელ ცვლილებებს.

მთავარი კითხვა ესაა: სწავლებასთან დაკავშირებული დღევანდელი სივრცე, ადამიანები, დრო და ტექნოლოგიები ეხმარებიან თუ ზღუდავენ ჩვენს თვალსაწიერს? არსებული სისტემის მოდერნიზაცია დაგვეხმარება თუ არა მიზნის მიღწევაში? საჭიროა თუ არა სრულიად განსხვავებული მიდგომა ადამიანების, სივრცის, დროისა და ტექნოლოგიების ფაქტორებთან? დღევანდელი სასკოლო განათლების მოდერნიზაცია და გაფართოება დიდად განსხვავებული არ იქნება იმისგან, რაც დღეს გვაქვს: კონტენტი და სივრცე, რომელიც მნიშვნელოვნად სტანდარტიზებულია ყველა ქვეყანაში, ძირითადად სკოლის ბაზაზეა (ციფრული გადაცემებისა და საშინაო დავალებების ჩათვლით) და ორიენტირებულია სწავლების ინდივიდუალურ გამოცდილებაზე. ციფრული ტექნოლოგიები სულ უფრო და უფრო ფართოდ ინერგება, თუმცა, ძირითადად, გამოიყენება არსებული კონტენტის სწავლებისა და პედაგოგიური ხერხების ხელშეწყობის საშუალებად და არავინ ცდილობს მათ გამოყენებას სწავლებასა და სწავლაში რევოლუციური ცვლილებების განხორციელებისთვის.

როგორი შეიძლება იყოს ტრანსფორმაცია? გადასახედია სივრცე, სადაც მიმდინარეობს სწავლება; მხოლოდ სკამებისა და მაგიდების გადაადგილება კი არა, არამედ რამდენიმე ფიზიკური თუ ვირტუალური სივრცის გამოყენება როგორც სკოლის შენობაში, ასევე მის გარეთ. მოწინავე ტექნოლოგიების დახმარებით, სხეულის, მიმიკის ან ნეირონული სიგნალების შესახებ ინფორმაციის გამოყენებით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს კონტენტისა და პედაგოგიური მეთოდების ინდივიდუალური პერსონალიზაცია.

სავარაუდოდ, დამკვიდრდება მოქნილი ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა აკადემიურ, სოციალურ თუ საზოგადოებრივ თემებზე. კითხვის, წერისა და ანგარიშის ათვისება მოხდება განხილვითა და გააზრებით, ერთობლივი საუბრებით. სტუდენტები ისწავლიან წიგნებითა და ლექციებით, პრაქტიკული მუშაობით და შემოქმედებითი თვითგამოხატვით. იქნებ, სკოლები სასწავლო ცენტრები გახდეს, სადაც ერთობლივი სწავლების, ფორმალური და არაფორმალური სწავლების როლის ასამაღლებლად გამოყენებული იქნება საზოგადოების ძალისხმევა?

ალტერნატივის სახით, სკოლები შეიძლება, საერთოდ გაქრეს. ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარების, ვირტუალური და დამატებითი რეალობის მეშვეობით, მომავალში, შესაძლოა, წამიერად შეფასდეს და დადასტურდეს ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. იმდენად, რამდენადაც თანდათანობით იშლება სხვაობა ფორმალურ და არაფორმალურ სწავლებას შორის, ინდივიდუალური სწავლება კოლექტიური გონის გამოყენების ხარჯზე ვითარდება – რეალური პრობლემების გადასაჭრელად. მართალია, ეს სცენარი, შეიძლება, თითიდან გამოწოვილი ჩანდეს, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ცხოვრების დიდი ნაწილი მიჯაჭვულია სმარტფონებზე, საათებსა და ციფრულ, პირად თანაშემწეებზე, რაც ათი წლის წინ წარმოუდგენელი იყო.

ამგვარი სცენარები მნიშვნელოვნად იმოქმედებს როგორც განათლების მიზნებსა და მართვის პროცესზე, ასევე პედაგოგთა შემადგენლობაზე. ბევრ ქვეყანაში სასკოლო განათლების სისტემა უკვე გაიხსნა ახალი, დაინტერესებული მხარეებისთვის, დაიწყო დეცენტრალიზაცია. ძალაუფლება ნაწილდება, პროცესები უფრო ინკლუზიური ხდება. კონსულტაციები ადგილს უთმობს ერთობლივ შემოქმედებას. ჩვენ შეგვიძლია, უთვალავი ასეთი სცენარი შევქმნათ. მომავალში შეიძლება მათი ნებისმიერი კომბინაცია, და ალბათ, განათლების სისტემა სხვადასხვაგვარი იქნება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ამის მიუხედავად ამგვარი აზროვნება გვიბიძგებს, შევისწავლოთ განათლების ორგანიზაციებსა და სტრუქტურებში, საგანმანათლებლო სისტემაში დასაქმებული კადრებისა და საჯარო პოლიტიკის მიზნები და ფუნქციები. საბოლოოდ, უფრო მეტად დავფიქრდებით იმაზე, თუ როგორი მომავალი გვინდა განათლებისთვის. ფიქრს კი, ხშირად მოაქვს შემდეგი წინააღმდეგობებისა და დილემების გადაჭრის გზები:

- ✓ როგორია სწორი ბალანსი მოდერნიზებასა და ნგრევას შორის?
- ✓ როგორ მივუსადაგოთ ახალი მიზნები ძველ სტრუქტურებს?
- ✓ როგორ შევუწყოთ ხელი გლობალურად მოაზროვნე და ადგილობრივ ჩარჩოში ჩაკეტილ სტუდენტებსა და მასწავლებლებს?
- ✓ როგორ შევუწყოთ ხელი ინოვაციებს ისე, რომ ამავდრულად ვაღიაროთ განათლების ძალზე კონსერვატიული ბუნება?
- ✓ როგორ გამოვიყენოთ ახალი პოტენციალი არსებული საშუალებებით?
- ✓ როგორ შევცვალოთ სივრცეები, ადამიანები, დრო და ტექნოლოგიები მძლავრი სასწავლო გარემოთი?
- ✓ უთანხმოების შემთხვევაში, ვის მოსაზრებას ენიჭება უპირატესობა?
- ✓ ვინ არის პასუხისმგებელი ჩვენი საზოგადოების ყველაზე მოწყვლად წევრებზე?
- ✓ თუკი გლობალური ციფრული კორპორაციები არიან მთავარი პროვაიდერები, რა სახის სარეგულაციო რეჟიმია საჭირო ისეთი მწვავე საკითხების გადასაჭრელად, როგორიცაა მონაცემების კუთვნილება, დემოკრატია, მოქალაქეთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოება?

მომავალზე ფიქრს სჭირდება წარმოსახვა და სიზუსტე. უნდა ვუფრთხილდეთ ცდუნებას, ავირჩიოთ ჩვენთვის მომხიბვლელი მომავალი და მარტო მისთვის მოვემზადოთ. მსოფლიოში, სადაც მოსალოდნელია მძლავრი რყევები, როგორიცაა პანდემიები და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფები, უთუოდ გახშირდება სოციალური მღელვარებები და პოლიტიკური პოლარიზაცია. თავს უფლებას ვერ მივცემთ, ამას კვლავ მოუმზადებლად შევხვდეთ.

ეს არ არის სასოწარკვეთილი მოთქმა – პირიქით, ქმედებისკენ მოწოდებაა. განათლების სისტემა მზად უნდა იყოს. ვიცით რა კაცობრიობის უსაზღვრო ძალაც და სწავლის უდიდესი მნიშვნელობაც, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ განათლება საზოგადოების კეთილდღეობის საწინდარია, როგორი სცენარიც არ უნდა გველოდეს მომავალში.

*მოამზადა* **ნინო მეტრეველმა**

*მასალა მომზადებულია OECD განათლების განყოფილების ხელმძღვანელის, ანდრეას შლაიქერის World Economc Forum-ში დაბეჭდილი სტატიის მიხედვით*



# 2021 წლის უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდაზე, საგნის გამოცდაზე, საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ტესტირებაზე ტესტის შეფასების ზოგადი კრიტერიუმები

### 1. საბაზო/საშუალო საფეხურის ქართული ენა და ლიტერატურა

**ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტით შემოწმდება:**
1. ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მოთხოვნის ცოდნა;
2. საგნის სწავლებისათვის აუცილებელი ლინგვისტური და ლიტერატურული მასალის ცოდნა;
3. სხვადასხვა ტიპის ტექსტის გააზრებისა და ანალიზის უნარი;
4. კრიტიკული აზროვნების უნარი;
5. წერის კულტურა.

### 2. დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურების ქართული, როგორც მეორე ენა

**ტესტი ხუთი ნაწილისაგან შედგება:**
1) მოსმენილი ტექსტის გაგება და გააზრება;
2) წაკითხული ტექსტის გაგება და გააზრება;
3) წერა;
4) პროფესიული ცოდნა;
5) ქართულ ენაზე მეტყველება.

**ქართულის, როგორც მეორე ენის, ტესტით შემოწმება:**
1. ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მოთხოვნების ცოდნა;
2. პროფესიული ცოდნა (საგნის სწავლებისათვის აუცილებელი ლინგვისტური და ლიტერატურული მასალის ფლობა) და მისი პრაქტიკული გამოყენების უნარი;
3. შეფასების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად;
4. მოსმენილი ტექსტის გაგებისა და გააზრების უნარი;
5. წაკითხული ტექსტის გაგებისა და გააზრების უნარი;
6. წერის კულტურა;
7. ქართულ ენაზე მეტყველების უნარი;
8. კრიტიკული აზროვნების უნარი.

### 3. საბაზო/საშუალო საფეხურის ისტორია

**საგნის გამოცდაზე ისტორიის ტესტში შეფასდება:**
• საგნის სწავლებისათვის აუცილებელი მასალის ცოდნა;
• ისტორიული წყაროების ანალიზის უნარი;
• ლოგიკური მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარი.
ტესტში ყოველი დავალების კონკრეტული შეფასება ხდება წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით.

### 4. საბაზო/საშუალო საფეხურის სამოქალაქო განათლება

**საგნის გამოცდაზე სამოქალაქო განათლების ტესტით მოწმდება პირის საგნობრივი კომპეტენცია (ცოდნა და უნარები):**
• საპროგრამო მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი (რეპროდუცირება);
• სხვადასხვა სახით (ტექსტი, რუკა, ფოტო, დიაგრამა) წარმოდგენილი მასალიდან საჭირო ინფორმაციის გამოყოფა (იდენტიფიცირება);
• ერთი და იმავე ინფორმაციის სხვადასხვა სახით გამოხატვა (ტრანსფორმაცია);
• საპროგრამო მასალის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და ინფორმაციიდან დასკვნის გამოტანის უნარი (პროდუცირება);
• დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი (თავისუფალი პროდუცირება).

### 5. საბაზო/საშუალო საფეხურის ქიმია

• საგამოცდო პროგრამით განსაზღვრული ფაქტობრივი მასალის ცოდნა და კონკრეტულ ამოცანებში ამ ცოდნის გამოყენების უნარი;
• გრაფიკებით, სქემებით, ცხრილებითა და დიაგრამებით მოწოდებული ინფორმაციის გაგებისა და ანალიზის უნარი;
• მოცემული ამოცანის პირობიდან არსებითი მონაცემების შერჩევის უნარი;
• ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით არასტანდარტული ამოცანის ამოხსნის უნარი;
• საბუნებისმეტყველო მეცნიერების სფეროში დაგროვილი ცოდნის პრაქტიკული გამოყენება;
• დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;
• მეცნიერული ტერმინოლოგიის ადეკვატურად გაგება და გამოყენება.

### 6. საბაზო/საშუალო საფეხურის გეოგრაფია

**საგნის გამოცდაზე გეოგრაფიის ტესტით შეფასდება:**
• ფაქტობრივი მასალის ცოდნა;
• გეოგრაფიული ცნებებისა და ტერმინების ადეკვატური გამოყენება;
• გეოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების გამოვლენა;
• გეოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა;
• გეოგრაფიული რუკების კითხვა, მოპოვებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია და ანალიზი;
• გრაფიკების, ცხრილებისა და დიაგრამების გამოყენებით ინფორმაციის შეჯერება/ანალიზი და მათი მარტივი ანალოგების შექმნა;
• გეოგრაფიული მოვლენების ანალიზი, მათი შეფასება, საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირების უნარი (აზრის ლოგიკურად, დამაჯერებლად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბება).

### 7. საბაზო/საშუალო საფეხურის ბიოლოგია

**საგნის გამოცდაზე მასწავლებელს მოეთხოვება:**
• საგამოცდო პროგრამით განსაზღვრული ფაქტობრივი მასალის ცოდნა;
• ამ ცოდნაზე დაყრდნობით, ბუნებაში მიმდინარე არსებითი პროცესების დახასიათება და ანალიზი;
• გრაფიკებიდან, სქემებიდან, ცხრილებიდან და დიაგრამებიდან საჭირო ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება მოცემული ამოცანის გადასაჭრელად.

**საგამოცდო ტესტით მოწმდება:**
• საპროგრამო მასალის ცოდნა და კონკრეტულ ამოცანებში ამ ცოდნის გამოყენების უნარი;
• გრაფიკებით, სქემებით, ცხრილებითა და დიაგრამებით მოწოდებული ინფორმაციის გაგებისა და ანალიზის უნარი;
• მოცემული ამოცანის პირობიდან არსებითი (პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელი) მონაცემების შერჩევის უნარი;
• ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, უცნობი, არასტანდარტული ამოცანის დამოუკიდებლად ამოხსნის უნარი;
• დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;
• ბიოლოგიის სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან დაკავშირება;
• მეცნიერული ტერმინოლოგიის ადეკვატურად გაგება და გამოყენება.

### 8. საბაზო/საშუალო საფეხურის ფიზიკა

**არჩევითპასუხებიან დავალებაში** დასმულია შეკითხვა და მოცემულია ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.
**შესაბამისობის პოვნა**. უნდა დადგინდეს შესაბამისობა ორ ჩამონათვალში მოცემულ სიდიდეებსა და ობიექტებს შორის. ცხრილი ივსება შემდეგნაირად: ციფრებით დანომრილ თითოეული სიდიდის ან ობიექტისათვის მოიძებნება მისი შესაბამისი ანბანით დანომრილი სიდიდე ან ობიექტი. შედეგი მოინიშნება X-ით ცხრილის სათანადო უჯრაში.
გასათვალისწინებელია, რომ ერთი ჩამონათვალის რომელიმე სიდიდეს ან ობიექტს შეიძლება შეესაბამებოდეს ერთი, ერთზე მეტი ან არც ერთი მეორე ჩამონათვალიდან.
დავალება ფასდება ცხრილის სწორად შევსებული სტრიქონების ან სწორად შევსებული სვეტების რაოდენობის მიხედვით.
**ღია დავალება**.
ვლინდება საკითხის თეორიული ცოდნის გამოყენების უნარი კონკრეტული მრავალსაფეხურიანი დავალების შესრულებისას.
მოითხოვება ამოცანის ამოხსნის ლოგიკურად მწყობრი, გააზრებული გზის წარმოჩენა.
ფასდება ამოცანის ამოხსნის თითოეული ეტაპი.

### 9. საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკა

შესავალი
ტესტი შედგება 30 არჩევითპასუხიანი დავალებისგან (1-30) და სამი წერითი დავალებისგან (31-33), რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მასალაზე დაყრდნობით ამოწმებენ კანდიდატის როგორც საგნობრივი ცოდნის დონეს, ასევე მის პედაგოგიურ კომპეტენციებს.
აღნიშნულ დავალებებზე წერილობითი პასუხები შეფასდება ორი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ. თუ მათი შეფასებები ერთმანეთს არ დაემთხვა, მაშინ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს მესამე ექსპერტი. თითოეული ნაშრომი შეფასდება უნიფიცირებული შეფასების სქემის მიხედვით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
1. **მიზნები.** აღნიშნული კრიტერიუმი ადგენს, თუ რამდენად ზუსტად და ადეკვატურად გაიგო კანდიდატმა დავალების თითოეულ კომპონენტში დასმული ამოცანა.
2. **ცოდნა და მისი გამოყენება.** აღნიშნული კრიტერიუმი ადგენს, თუ რამდენად კარგად ავლენს კანდიდატი დავალების შესაბამისი კომპეტენციით განსაზღვრული საკითხების ღრმა ცოდნას და პრაქტიკულ სიტუაციებში მათი გამოყენების უნარს.
3. **სისრულე და თანამიმდევრულობა.** აღნიშნული კრიტერიუმი ადგენს, თუ რამდენად სრულად, არგუმენტირებულად და ლოგიკურად თანამიმდევრულად არის კანდიდატის პასუხში აღწერილი კონკრეტული დავალების გადაჭრისათვის საჭირო ყველა ნაბიჯი.

### 10. დაწყებითი საფეხური (I-IV)

**ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI)**
**მათემატიკა (I-VI)**
**ბუნებისმეტყველება (I-VI)**

**ტესტში წარმოდგენილია შემდეგი ფორმატის დავალებები:**
• დავალებები არჩევითი პასუხებით;
• დავალებები ღია დაბოლოებით;
• შესაბამისობის დადგენა;
• თხზულება (ესე).

**არჩევითპასუხებიან დავალებებში**, პირობასა თუ შეკითხვასთან ერთად, სავარაუდო პასუხებიც არის მოცემული. დავალების შესრულება გულისხმობს ოთხი ან ხუთი სავარაუდო პასუხიდან ერთი სწორი პასუხის არჩევას. თითოეული არჩევითპასუხებიანი დავალება 1 ქულით ფასდება.
**დავალებები ღია დაბოლოებით** მოითხოვს დასმულ შეკითხვაზე პასუხის ჩამოყალიბებას, საკუთარი მსჯელობის გამყარებას სათანადო არგუმენტებით. თითოეული ღიაბოლოიანი დავალება ფასდება სპეციალური სქემის მიხედვით. შესასრულებელი ნაბიჯების გათვალისწინებით, დავალება შეიძლება შეფასდეს 1, 2 ან მეტი ქულით
**შესაბამისობის დადგენის დავალებებში** წარმოდგენილია მონაცემთა ორი სვეტი. ერთ სვეტში მოცემულია ე.წ. პირობა (მოვლენები, ფრაზები და ა.შ.), მეორეში კი – სავარაუდო პასუხები (ცნებები, ტერმინები და ა.შ.). დავალების შესრულება გულისხმობს ერთ სვეტში მოცემული ინფორმაციის მისადაგებას მეორე სვეტში მოცემულ ინფორმაციასთან. შესაბამისობის დადგენის თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.
**თხზულებაში** აპლიკანტმა უნდა წარმოაჩინოს საკუთარი პოზიცია, მოსაზრებები შემოთავაზებული საკითხის შესახებ, კონკრეტული არგუმენტებით დაასაბუთოს სათქმელი. თხზულების მაქსიმალური ქულაა 9.

### 11. უცხოური ენები

ტესტი ამოწმებს 4 ენობრივ უნარს: მოსმენას, კითხვას, წერას და ლაპარაკს. სირთულის დონე არის B2 (საშუალოზე მაღალი). დავალებების რაოდენობა, ლაპარაკის დავალებების ჩათვლით, არის 11. დავალებების გადანაწილება უნარების მიხედვით შემდეგია:
მოსმენა – 2 დავალება (16 ქულა); კითხვა – 4 დავალება (36 ქულა); წერა – 2 დავალება (22 ქულა); ლაპარაკი – 3 დავალება (16 ქულა). მოსმენის და კითხვის დავალებები ამოწმებს როგორც მოცემული ტექსტის ზოგადი აზრის, ისე მასში მოცემული ცალკეული დეტალების გაგების უნარს. წერის დავალებები ამოწმებს ოფიციალური წერილის და ესეს წერის უნარებს, ხოლო ლაპარაკის დავალებები ამოწმებს აზრის გამოხატვის და მსჯელობის უნარს. ტესტის მაქსიმალური ქულა არის 90.
• **კითხვის და მოსმენის** ყველა დავალება ფასდება 1 ქულით.
• **წერილი** ფასდება 6 ქულით; სქემა ჰოლისტურია.
• **ესე** ფასდება 16 ქულით. შეფასების კრიტერიუმებია: 1. დავალებასთან შესაბამისობა; 2. ლოგიკური და სტრუქტურული თანმიმდევრობა; 3. ლექსიკური მარაგი; 4. გრამატიკული სისწორე.
• **ლაპარაკი** ფასდება 16 ქულით. შეფასების კრიტერიუმებია: 1. დავალებასთან შესაბამისობა და გაბმულობა; 2. ლექსიკური მარაგი; 3. გრამატიკული სისწორე და მრავალფეროვნება; 4. წარმოთქმა.

### 12. დაწყებითი/საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

**მასწავლებლის გამოცდაზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტში შეფასდება აპლიკანტთა შემდეგი უნარები:**
• საგნის სწავლებისათვის აუცილებელი მასალის ცოდნა;
• მასწავლებლის მიერ ელემენტარული პრაქტიკული უნარების გამოყენება, შემოქმედებითი უნარი;
• ლოგიკური და არგუმენტირებული მსჯელობისა და ანალიტიკური აზროვნების უნარი.
**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტში ექვსი განსხვავებული ტიპის დავალებაა:** დახურული კითხვები, პრაქტიკული სამუშაოები (ხატვა), შესაბამისობა, დავალება პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“, ქრონოლოგიის განსაზღვრა და ღია კითხვები.
1. **დახურული კითხვები** ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს.
2. **პრაქტიკული სამუშაო**
**(ხატვა)** საშუალებას იძლევა, დადგინდეს აპლიკანტის მიერ მხატვრული ელემენტებისა და პროცედურების პრაქტიკაში გამოყენების საბაზისო უნარი. ეს დავალება დაგვეხმარება გავარკვიოთ, რამდენად შეძლებს პედაგოგი სწორად წარმართოს მოსწავლის მიერ პრაქტიკული სამუშაოს შესრულების პროცესი და მისცეს სასარგებლო რჩევები.
3. **დავალება პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“** გვეხმარება შევაფასოთ, თუ რამდენად კარგად იცნობს აპლიკანტი სახვით ხელოვნებასთან დაკავშირებულ პროფესიულ ტერმინოლოგიას, ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების თავისებურებებს.
4. **ქრონოლოგიის განსაზღვრა** დავალების ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც ამოწმებს მასალის ფაქტობრივ ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს.
5. **შესაბამისობის დადგენა** ამოწმებს მასალის ფაქტობრივ ცოდნას, გააზრებას და მის ადეკვატურად გამოყენების უნარს.
6. **ღია დავალება** – ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზი ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მხატვრული ნაწარმოების აღქმის, კონტექსტში გააზრებისა და განხილვის, ანალიტიკური აზროვნების უნარს.
7. **ღია დავალება** – დაადგინეთ ხელოვნების ნიმუშის სახვითი

და კონტექსტუალური თავისებურებები და მათი ურთიერთმიმართება – ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მხატვრული ნაწარმოების აღქმის, კონტექსტში გააზრებისა და განხილვის, ანალიტიკური აზროვნების უნარს.

## 13. დაწყებითი/საბაზო საფეხურის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

**საგნის გამოცდის ტესტი შედგება ორი ნაწილისგან:**
(1) თეორიული ცოდნა (50%)
(2) პრაქტიკული უნარ-ჩვევები (50%)
გამოცდაზე შემოწმდება მასწავლებლის კომპეტენციები ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროფესიულ სტანდარტთან მიმართებით. საგამოცდო თემატიკა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- კომპიუტერის აგებულება და მასთან დაკავშირებული მოწყობილობები, ინფორმაციის ცნება;
- ოპერატიული სისტემა Windous 10;
- გრაფიკული რედაქტორი;
- ტექსტური რედაქტორი MS Word;
- ელექტრონული ცხრილები MS Excel;
- საპრეზენტაციო პროგრამა MS PowerPoint;
- ლოკალური და გლობალური ქსელები, ინტერნეტი.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თეორიული ცოდნის შემოწმება ტესტურ დავალებას ეფუძნება . ტესტში ორი განსხვავებული ტიპის დავალებაა:

- **დავალება არჩევითი პასუხებით** – პირობასა თუ შეკითხვასთან ერთად მოცემულია სავარაუდო პასუხებიც. დავალების შესრულება გულისხმობს ოთხი სავარაუდო პასუხიდან ერთი სწორი პასუხის არჩევას.

***ამ ტიპის თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.***

- **დავალება ღია დაბოლოებით** – ამ ტიპის დავალება მოითხოვს დასმულ შეკითხვაზე პასუხის წერილობით ჩამოყალიბებას, საკუთარი მსჯელობის გამყარებას სათანადო არგუმენტებით. თითოეული დავალება ფასდება სპეციალური სქემის მიხედვით. შესასრულებელი ნაბიჯების გათვალისწინებით, დავალება შეიძლება შეფასდეს 2 ან 3 ქულით.

## 14. დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურების მუსიკა

**მასწავლებელთა საგნის გამოცდის ტესტი მუსიკაში შედგება ორი ნაწილისგან:**
**1. მოსმენის დავალებები**
ა) დახურული კითხვები
ბ) მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი
გ) მელოდიური კარნახი
**2. დახურული და ღია დავალებები, რომელიც მოსასმენი მასალის გარეშეა წარმოდგენილი**
მასწავლებლის გამოცდაზე მუსიკის ტესტში შეფასდება აპლიკანტთა შემდეგი უნარები:

- საგნის სწავლებისათვის აუცილებელი მასალის ცოდნა და გამოყენების უნარი;
- საგნის სწავლებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარების გამოყენება;
- ანალიტიკური აზროვნების, ლოგიკური მსჯელობისა და საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირების უნარები.

მუსიკის ტესტში ექვსი ტიპის დავალებაა: დახურული კითხვები (არჩევითბოლოიანი დავალება), პრაქტიკული დავალებები, შესაბამისობის დადგენა, დავალება პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“, ქრონოლოგიის განსაზღვრა, ღია დავალება.
**1. დახურული კითხვები (არჩევითბოლოიანი დავალება)** მოცემულია ტესტის **I და II ნაწილებში**. ისინი ამოწმებენ ფაქტობრივი მასალის ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს.
**2. პრაქტიკული დავალებები.**
**ა) მელოდიური კარნახი** მოცემულია ტესტის **I მოსმენის ნაწილში.** კარნახი, მნიშვნელოვანი სავარჯიშო მუსიკალური სმენისა და მეხსიერებისთვის, ამოწმებს მელოდიის აღქმისა და დამახსოვრების, მარტივი ფორმისა და რიტმული სურათის გააზრების, ბგერების სიმაღლის განსაზღვრისა და ნოტებით დაფიქსირების უნარებს.
**ბ) მოცემული ნოტიდან განსაზღვრული ინტერვალის, სამ და ოთხხმიანი აკორდებისა და კილოს აგება სანოტო სისტემაზე** – დავალება მოცემულია ტესტის **II ნაწილში.** იგი ამოწმებს მუსიკალური ნაწარმოების სტრუქტურის ელემენტების – კილოს, ინტერვალისა და აკორდის ცოდნას და სანოტო სისტემაში მათი აგების უნარს.
**3. შესაბამისობის დადგენა** მოცემულია ტესტის **II ნაწილში.** დავალება ამოწმებს მასალის ფაქტობრივ ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს. შესაბამისობის ჩამონათვალში მოცემულია მუსიკალური მიმდინარეობები, პერიოდები, კომპოზიტორები, მუსიკალური ჟანრები, ნაწარმოებები, თეორიული ცნებები, ტერმინები და სხვ.
**4. დავალება პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“** მოცემულია ტესტის **II ნაწილში.** დავალება ამოწმებს, რამდენად ფლობს აპლიკანტი მუსიკალურ ტერმინოლოგიას და ფაქტობრივ მასალას მუსიკის ისტორიიდან, აგრეთვე, რამდენად ზუსტად განმარტავს იგი თეორიულ ცნებას ან ტერმინს.
**5. ქრონოლოგიის განსაზღვრა** მოცემულია ტესტის **II ნაწილში.** ამ ტიპის დავალება ადგენს მასალის ცოდნას, მისი ანალიზისა და გამოყენების უნარებს.
**6. ღია დავალება – მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი** მოცემულია ტესტის **I მოსმენის ნაწილში.** ფაქტობრივი მასალის ცოდნასთან ერთად, დავალება აფასებს აპლიკანტის მიერ საკითხის ინდივიდუალური გააზრების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების, მუსიკალური ნაწარმოების აღქმისა და ისტორიულ-კულტურულ კონტექსტში განხილვის უნარებს.

## 15. დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურების ფიზიკური აღზრდა და სპორტი

**საგნის გამოცდაზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ტესტით შემოწმდება:**
1. ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მოთხოვნების ცოდნა;
2. საგნის სწავლებისთვის აუცილებელი მასალის ცოდნა;
3. პროფესიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარი;
4. გაკვეთილის დაგეგმვისა და წარმართვის უნარი;
5. შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად;
6. ინკლუზიური სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის უნარი;
7. სპორტული ტერმინოლოგიის ცოდნის, ადეკვატურად გაგებისა და გამოყენების უნარი.

**ტესტური დავალებების შეფასების ზოგადი კრიტერიუმები**
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ტესტში ოთხი განსხვავებული ტიპის დავალებაა:

- **დავალება არჩევითი პასუხებით –** პირობასა თუ შეკითხვასთან ერთად მოცემულია სავარაუდო პასუხებიც. დავალების შესრულება გულისხმობს ოთხი სავარაუდო პასუხიდან ერთ სწორი პასუხის არჩევას.

***ამ ტიპის თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.***

- **შესაბამისობის დადგენის დავალება** – წარმოდგენილია მონაცემთა ორი სვეტი. ერთ სვეტში მოცემულია ე.წ. პირობა (აქტივობები, ფრაზები და ა.შ.), მეორეში კი – სავარაუდო პასუხები (ცნებები, ტერმინები და ა.შ.). დავალების შესრულება გულისხმობს ერთ სვეტში მოცემული ინფორმაციის მისადაგებას მეორე სვეტში მოცემულ ინფორმაციასთან.

***შესაბამისობის დადგენის თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.***

- ***დავალება პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“*** გვეხმარება შევაფასოთ თუ რამდენად კარგად იცნობს აპლიკანტი სახვით ფიზიკურ აღზრდასა და სპორტთან დაკავშირებულ პროფესიულ ტერმინოლოგიას, ფიზიკური ვარჯიშებისა და აქტივობების ელემენტებისა და დემონსტრირების პრინციპების თავისებურებებს. სწორი პასუხი ფასდება 2 ქულით.
- **დავალება ღია დაბოლოებით** – ამ ტიპის დავალება მოითხოვს დასმულ შეკითხვაზე პასუხის წერილობით ჩამოყალიბებას, საკუთარი მსჯელობის გამყარებას სათანადო არგუმენტებით. თითოეული დავალება ფასდება სპეციალური სქემის მიხედვით. შესასრულებელი ნაბიჯების გათვალისწინებით, დავალება შეიძლება შეფასდეს 1,2 ან მეტი ქულით.

***იმისთვის, რომ აპლიკანტის პასუხი სრულფასოვნად, ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის:***
(3) უნდა შესაბამებოდეს დავალებაში მოცემულ საკითხს – დავალების პირობა სწორად უნდა იყოს გააზრებული.
(4) არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს.
(5) შესრულებული უნდა იყოს გასარჩევი ხელწერით.
***თუ რომელიმე ამ პირობებიდან არ იქნება დაცული, ნაწერი შეფასდება 0 ქულით.***

## 16. პროფესიული უნარები

პროფესიული უნარების ტესტი ეყრდნობა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, რომელშიც აღწერილია მასწავლებლის პროფესიული საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი ცოდნა და უნარები, ძირითადი კომპეტენციები და ღირებულებები. ტესტში სამი განსხვავებული ტიპის დავალებაა: არჩევითპასუხიანი, შესაბამისობის და დავალება ღია დაბოლოებით.
1. **არჩევითპასუხიანი დავალება** – პირობასა თუ შეკითხვასთან ერთად სავარაუდო პასუხებიც არის მოცემული. დავალების შესრულება გულისხმობს ოთხი სავარაუდო პასუხიდან ერთი სწორი პასუხის არჩევას. თითოეული არჩევითპასუხებიანი დავალება 1 ქულით ფასდება.
2. **შესაბამისობის დავალება** – ცხრილის სახით არის მოცემული. ცხრილი ორი სვეტისგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში – სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში. შესაბამისობის დადგენის თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.
3. **დავალება ღია დაბოლოებით** მოითხოვს დასმულ შეკითხვაზე პასუხის ჩამოყალიბებას, არგუმენტირებულ მსჯელობას. ღია დავალებებს განსხვავებული მაქსიმალური ქულა აქვს და მათი გასწორება შემდეგი ზოგადი კრიტერიუმების საფუძველზე ხდება.

***იმისთვის, რომ აპლიკანტის პასუხი სრულფასოვნად, ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს:***
(1) დავალების პირობა სწორად უნდა იყოს გააზრებული – პასუხობდეს დასმულ შეკითხვას.
(2) არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს.
(3) შესრულებული უნდა იყოს გასარჩევი ხელწერით.
***თუ რომელიმე ამ პირობიდან არ იქნება დაცული, ნაწერი შეფასდება 0 ქულით.***

❖ **4-ქულიანი ღია დავალებები შემდეგი ზოგადი რუბრიკის საფუძველზე სწორდება:**

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 4 | პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული, გამოსაცდელი გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ყველა მითითებასა და კომპონენტს (ასახელებს, აღწერს, განმარტავს, ასაბუთებს). |
| 3 | პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა. მთლიანობაში მსჯელობა სწორია, თუმცა არასრული – რომელიმე ერთ მითითებაზე პასუხი შედარებით სქემატურია. |
| 2 | პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი ცოდნა. მსჯელობა არ არის სრული, აკლია დავალების პირობის რომელიმე კომპონენტი ან, ზოგადად, პასუხი ყველა მითითებაზე სწორია, მაგრამ სქემატური. |
| 1 | პასუხში ჩანს, რომ გამოსაცდელს აქვს საკითხის არასრული (ზედაპირული) ცოდნა ან გამოსაცდელი სქემატურად უპასუხებს პირობაში მოცემულ მხოლოდ ერთ კომპონენტს. |
| 0 | გამოსაცდელი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. დავალების პირობა ან/და შეკითხვა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. |

❖ **3-ქულიანი ღია დავალებები შემდეგი ზოგადი რუბრიკის საფუძველზე სწორდება:**

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული, გამოსაცდელი გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ყველა კითხვას/მითითებას (ასახელებს, აღწერს, განმარტავს, ასაბუთებს). |
| 2 | პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, თუმცა მსჯელობა არ არის სრული. აკლია დავალების პირობის ერთი რომელიმე კომპონენტი ან, ზოგადად, პასუხი ყველა მითითებაზე სწორია, მაგრამ სქემატური. აკლია სიცხადე. |
| 1 | პასუხში ჩანს, რომ გამოსაცდელს აქვს საკითხის არასრული (ზედაპირული) ცოდნა ან გამოსაცდელი სქემატურად უპასუხებს პირობაში მოცემულ მხოლოდ ერთ კომპონენტს. |
| 0 | გამოსაცდელი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს. |

## 17. უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდა

***იმისთვის, რომ გამოსაცდელის პასუხი სრულფასოვნად, ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს:***

- დავალების პირობა სწორად უნდა იყოს გააზრებული – პასუხობდეს დასმულ შეკითხვას.
- არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს.
- შესრულებული უნდა იყოს გასარჩევი ხელწერით.

***თუ რომელიმე პირობა არ იქნება დაცული, ნაწერი შეფასდება 0 ქულით.***

შეფასების სქემა

| ქულა | აღწერა |
|---|---|
| 3 | პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული, გამოსაცდელი გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ყველა კითხვას/მითითებას (ასახელებს, აღწერს, განმარტავს, ასაბუთებს). |
| 2 | პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, თუმცა მსჯელობა არ არის სრული, აკლია დავალების პირობის ერთი რომელიმე კომპონენტი ან, ზოგადად, პასუხი ყველა მითითებაზე სწორია, მაგრამ სქემატური. |
| 1 | პასუხში ჩანს, რომ გამოსაცდელს აქვს საკითხის არასრული (ზედაპირული) ცოდნა ან გამოსაცდელი სქემატურად უპასუხებს პირობაში მოცემულ მხოლოდ ერთ კომპონენტს. |
| 0 | გამოსაცდელი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. დავალების პირობა ან/და შეკითხვა სწორად არ არის გააზრებული, პასუხი აცდენილია დასმულ შეკითხვას. |



# მიბრუნება ორიენტალიზმთან



საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით, 8 აპრილიდან 27 აპრილამდე, თბილისის ისტორიის მუზეუმში წარმოგიდგენთ ბაქოს გოეთეს ცენტრის გამოფენას ანდრეას ლანგის მონაწილეობით – „მიბრუნება ორიენტალიზმთან“.

ევროპასა და აღმოსავლეთს შორის მრავალსაუკუნოვან დიალოგში სახვით ხელოვნებას ყოველთვის არსებითი წვლილი მიუძღოდა: თავდაპირველად, როგორც ბუნებისა და ცხოვრების წესის დოკუმენტს და მოგვიანებით, როგორც ჩრდილო აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის პოეტურ, ზოგჯერ რომანტიზებულ, ეგზოტიკურ ხატს. მეოცე საუკუნის ძვრებმა, რომლებიც პირველი მსოფლიო ომით დაიწყო, რასაც მალევე ოსმალეთის იმპერიის დაშლა მოჰყვა, აიძულა მოდერნი და თანამედროვე ხელოვნება, უფრო კრიტიკულად შეეხედა ამ რეგიონისთვის.

ანდრეას ლანგი ისტორიულ ორიენტალისტურ ტილოებს პოლიტიკური და სოციალური კონოტაციებით გაჯერებულ თანამედროვე პეიზაჟებს უპირისპირებს. ასეთი მიდგომა ძველი აღმოსავლეთის იდუმალებას ხელუხლებლად ინარჩუნებს, მაგრამ თანამედროვე საზოგადოების კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებსაც ამჟღავნებს.

„ჩემს ნამუშევრებში ისტორიის, მითოლოგიისა და თანამედროვეობის სხვადასხვა შრეს ვიკვლევ, რათა ნარატიული სურათი წარმოიშვას. ერთგვარი ვიზუალური არქეოლოგია, რომელიც ზემოდან ედება ან, ზოგჯერ, ეჯახება უშუალო სოციალურ, პოლიტიკურ თუ ეკოლოგიურ რეალობას. ამგვარად, სურათი საპროექციო სივრცედ იქცევა და ხშირად სცენას ან გადასალებ მოედანს ემსგავსება, სადაც ძნელი გასარჩევია წარმოსახვა და რეალობა, წარსული და აწმყო. ინტენსიური კვლევის ფაზის შემდეგ, ადგილზე მივემგზავრები სურათების გადასაღებად. ჩემს ბოლოდროინდელ პროექტებში, გამოფენილი ნამუშევრების უშუალო შემადგენელი ნაწილი გახდა საარქივო და კვლევის შედეგად მოძიებული მასალები. პროექტში „მიბრუნება ორიენტალიზმთან" პირველად გადავწყვიტე ამ ორი შრის ზედდება, რაც ორიენტალისტური გამოსახულების და ღლევანდელობის პალიმფსესტს ქმნის“ – ამბობს ანდრეას ლანგი.





საკვლევ სივრცედ ხელოვანმა არა მხოლოდ ისეთი კლასიკური აღმოსავლური მხარეები აირჩია, როგორიცაა ტუნისი, თურქეთი ან სპარსეთის ყურე, არამედ სამხრეთ კავკასიაც, სადაც ოსმალური და სპარსული კულტურა რუსულ და, მოგვიანებით, საბჭოთა ზეგავლენას შეეჯახა, რამაც, სხვათა შორის, ორიენტალიზმის საკუთარი, სპეციფიური ფორმა წარმოშვა ხელოვნებაში, მუსიკაში, ლიტერატურასა და არქიტექტურაში.

გამოფენა „მიბრუნება ორიენტალიზმთან“, 2020 წელს, ონლაინ პროექტის სახით, ბაქოში იყო წარმოდგენილი. გამოფენის კურატორია ალფონს ჰუგი, ბაქოს გოეთეს ცენტრის დირექტორი.








7 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი

გამოიწერეთ გაზეთი „ახალი განათლება“

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
**შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:**
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

სიახლე მარტიდან



მასწავლებლის გამოცდებისთვის
ფასი – 27 ლარი

წიგნში თავმოყრილია I-IV კლასების მასწავლებელთა კომბინირებული საგამოცდო მასალა, კითხვა-პასუხის და ტესტების სახით

ფასი – 17 ლარი

ტექსტის გააზრება



15 ლარი

სწავლების ინტერაქტიური მეთოდები

ქართული (I-VI) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა

პროფესიული უნარები
ტესტები



10 ლარი | 11 ლარი | 15 ლარი | 15 ლარი

წიგნის თარო

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
ეროვნული გამოცდისათვის



წიგნი I
V-XVIII სს მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა
თითო ტომის ფასი – 13 ლარი



ახალი განათლება

შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
მისამართი: აკაკი წერეთლის გამზ. №126, თბილისი 0119
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქტორი:
ლალი ჯელაძე

იბეჭდება სტამბა „კოლორში“ კოლორ ჯგუფი მისამართი ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის №3

ISSN 2233-386X
ფასი – 2 ლარი


რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.